პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 66 (11677)

შაბათი, 19 მარტი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

„ვემსახურებით საბჭოთა კავშირს“

დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

დიდი მღელვარებით და მადლობით წაიკითხეთ თქვენი მამობრივი სიტყვები, რომლებიც ზომართულია ჩვენდამი, საბჭოთა არმიის უბრალო მეომრებისადმი. მძიმე განსაცდელის დღეებში, რაც ჩვენ წილად გვხვდა, ერთ წუთსაც არ დაგვიწყებია დედა სამშობლო, რომლის სიყვარული ძალას გვმატებდა სტიქიონთან ბრძოლაში. მხედრული მოვალეობისადმი ერთგულნი, ჩვენ ვცდილობდით ისე მოვქცეულიყავით, როგორც საბჭოთა ჯარისკაცებს შეეფერებათ.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ ძალღ ონეს ვიკრებთ და ჯანზე მოვდივართ, სულით და გულით ვისწრაფვით რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ სამშობლოში, რათა კვლავ დავიკავოთ ჩვენი ადგილი საბრძოლო წყობილებაში.

თქვენს გულითად სიტყვებზე, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, გიპასუხებთ: „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს“.

უმცროსი სერჟანტი ზიგანშინი,
რიგითი ჯარისკაცები პოკლავსკი,
კრიუჩკოვსკი,
ფედოტოვი.

ქ. სან-ფრანცისკო, კარავან ლოჯ-ოტელი, 1960 წ. 16 მარტი.

ლენინურ შრომითს ვახტზე

14 ეშელონი ზეგეგმითი ქვანახშირი

ყარაგანდელ სამგულ ტოკუმტაევის კომკავშირულ ბრიგადას ეჯიბრება.

ტყიბული. (საკ. კორ.). ახლოვდება ვ. ი. ლენინის დაბადების 90-ე წლისთავი. ტყიბულელი მეშახტეები მთელი ენერგიით იბრძვიან, რომ ღირსეულად შეხვდნენ ამ თარიღს. განსაკუთრებული გამოცოცხლებაა სტალინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მეშახტეთა შორის, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ყარაგანდის კიროვის სახელობის შახტის ახალგაზრდებთან.

ქვანახშირის ორი საბადოს ახალგაზრდა მეშახტეები ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი და მაღალხარისხოვანი სათბობის მოპოვებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები. სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ნოვატორი მეშახტე შალვა შარვაძე ხელმძღვანელობს, ტოკუმტაევის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაც.

ახალგაზრდებმა მარტში კიდევ უფრო გააძლიერეს შრომის ტემპი. მიმდინარე წლის განვლილ ორთვენახევარში მეშახტეებმა ამოიღეს 14 ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო“.

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების-საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების, დირექტორების და სასწავლო ნაწილის გამგეების, აგრეთვე სკოლების ინსპექტორების ხელფასის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების — საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების, დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების, აგრეთვე სკოლების ინსპექტორების ხელფასის საკითხი და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

ამ გადაწყვეტილებით მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების — საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა და ხელმძღვანელ მუშაკთა ხელფასი გადიდებულია 15 პროცენტით. 1960 წლის 1 აპრილიდან ისინი მიიღებენ ისეთსავე ხელფასს, როგორც დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებლები, სასწავლო ნაწილის გამგეები და დირექტორები.

15 პროცენტით გადიდებულია აგრეთვე სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, (საოლქო), სამხარეო განყოფილებათა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროთა სკოლების, აგრეთვე რაზაღმასკომების სახალხო განათლების ინსპექციების ინსპექტორთა ხელფასი.

უპატაკებენ სამშობლოს

◆ **ამბროლაურის** რაიონის მშრომელებმა 10 მარტისათვის შეასრულეს პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი: ხორცისა — 109,3 პროცენტით, რძისა — 102,2 პროცენტით, კვერცხისა — 130,2 პროცენტით, ტყავ-ნედლეულისა — 100 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

◆ **ბოლნისის** რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1 მარტისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 140,9 პროცენტით, კვერცხისა — 179,6 პროცენტით. სახელმწიფოს მიჰყიდეს 293.000 ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

◆ **ზუგდიდის** რაიონის მშრომელებმა 15 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის ვალდებულება.

ვალდებულებით გათვალისწინებული 150 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ტონა ხორცი. რძის მიყიდვის ვალდებულება შესრულებულია 530 ცენტნერის გადაჭარბებით; 209 ათასი ცალის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 230 ათასი ცალი კვერცხი.

რაიონის მშრომელებმა იკისრეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური ვალდებულება შეასრულონ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავისათვის.



გამარჯე ჭაგუკი

ჯანლონით სავსე ეს ახალგაზრდა მონაწილეობას იღებდა ამ დღეებში თბილისში გამართულ სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ შეკრებაზე. იგი ხულოს რაიონის სოფელ დიოკნისის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელია.

— ბრიგადირობის დიდი გამოცდილება როდი აქვს კომკავშირელ იოსებ ძირკვაძეს, — ამბობენ თანასოფლელები, — მაგრამ შრომისადმი კომუნისტურმა დამოკიდებულებამ მას მალე გაუთქვა სახელი. ბრიგადის წევრებს პირადი შრომითი მაგალითით აღფრთოვანებდა. ყველა დაირაზმა დაკისრებული საქმის სასახელოდ შესრულებისათვის.

ამიტომ იყო, რომ შარშან ბრიგადამ მოპოვებული წარმატებებისათვის ქება დაიმსახურა. მართლაც საქებია! მოსავლელად მიჩენილი მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ეს მაჩვენებელი საამაყოა, მით უმეტეს, რომ რაიონში დიდი ხანი არ არის აღდგა ძველთაძველი დარგი — მევენახეობა.

ბრიგადირმა იოსებ ძირკვაძემ კარგად იცის, რომ ეს წარმატება ზღვარი არ არის. ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა შვიდწლედის მეორე წელს ახალი წარმატება უპატაკოს ლენინურ კომკავშირს. ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი — აი რისთვის იბრძვის წელს სახელოვანი ბრიგადირი.



სურათზე: ბრიგადირი ი. ძირკვაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩაის უხვი მოსავლისათვის!

სეზონს რომ მომზადებული შეხვდნენ...

დიდი პასუხსაგები ამოცანა აკისრია გუდაუთის ჩაის ფაბრიკას. საწარმოს კოლექტივმა მთლიანად უნდა გადაამუშაოს რაიონის ჩაის პლანტაციებში მოკრეფილი ფოთოლი. ამიტომ არის, რომ ფაბრიკის კოლექტივმა დროულად გააჩაღა ახალი სეზონისათვის მზადება. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კოფეინის გადასამუშავებელი მანქანის დამონტაჟება. ფაბრიკაში ინჟინერ მარდალეიშვილის ჩაის საღონობი სამი აგრეგატი დგას. ისინი ვერ უზრუნველყოფენ მიმდინარე სეზონში გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამიტომ უკვე დავიწყეთ მეოთხე მძლავრი აგრეგატის დადგმა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა სეზონის დაწყების პირველსავე დღეებში.

საღონობ საამქროში ვდგამთ ჩაის ფოთლის გამომტან ტრანსპორტიორს. ეს ძვირფასი მექანიზმი მთლიანად მოსპობს ხელით შრომას. სულ მალე დამთავრდება საორლერო საამქროს მექანიზაციის სამუშაოები. ამ ღონისძიების გატარებით საამქროს წარმადობა 30 პროცენტით გაიზრდება.

ჩაის ფოთლის სახმობ ღუმელებში პროდუქციის გახმობა ორჯერად ხდება. ეს დიდ დროსა და დამხმარე მუშახელს მოითხოვს. გადავწყვიტეთ გადავიდეთ ერთჯერად ხმობაზე. ამ ტექნიკური სიახლის განხორციელებისათვის უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები, ღუმელებს დავუყენეთ მექანიკური საწმენდი მოწყობილობა.

დამხარისხებელი საამქრო ერთ-ერთი დიდი საამქროა ფაბრიკაში. მის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. გადავწყვიტეთ გავაფართოოთ აღნიშნული საამქრო. ამ მიზნით ვდგამთ ახალ გაუმჯობესებულ მანქანებს, რაც ერთნახევარჯერ გაადიდებს დამხარისხებელი საამქროს გამტარუნარიანობას.

შემკეთებელ ბრიგადებში თავი ისახელეს შრომით ვ. ბიგვავამ, გ. მირონენკომ, ვ. ვართაგავამ, მ. ლაკობამ, პ. კარაჯიანმა, ვ. ალანიამ და სხვ.

გუდაუთის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის მთლიანად დამთავრონ სარემონტო სამუშაოები და უზრუნველყონ ჩაის ნედლეულის შეუფერებლად მიღება-გადამუშავება.

ს. ალანია,
გუდაუთის ჩაის ფაბრიკის უფროსი აგრონომი.

ახალი წიგნები მკითხველებს

კრებული „კ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმის კოლონიური სისტემის შესახებ“

გამოვიდა კრებული „კ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმის კოლონიური სისტემის შესახებ“, რომელიც მომზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა. კრებულში მოთავსებულია ნაწყვეტები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის კაპიტალური შრომებისა „გერმანული იდეოლოგია“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, სტატიები, ხელნაწერი მასალები და წერილები.

წიგნში შეკრებილია მარქსისა და ენგელსის დიდმნიშვნელოვანი გამონათქვამები კოლონიური სისტემის წარმოშობისა და განვითარების, მისი როლის შესახებ ბურჟუაზიული საზოგადოების ქმნადობაში, კოლონიური პოლიტიკისა და კოლონიური ექსპლოატაციის ფორმებისა და მეთოდების შესახებ, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში კოლონიური სისტემის გარდაუვალი დამარცხების პირობების შესახებ.

კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მარქსისა და ენგელსის ნაშრომებს. ეს ნაშრომები ამხილებენ ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც უდიდესი კაპიტალისტური ქვეყანა იყო მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის პერიოდში. ფართოდ არის წარმოდგენილი აგრეთვე მარქსისა და ენგელსის სტატიები ირლანდიის, ინდოეთის, აფღანეთის, სპარსეთის, ჩინეთის, ალჟირისა და სხვა ქვეყნების შესახებ. (საკდესი).

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ოქმები

სერიაში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების ოქმები და სტენოგრაფიული ანგარიშები“, რომელსაც უშვებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, გამოვიდა ახალი წიგნი „რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის ოქმები“.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის ოქმები პირველად გამოიცა 1907 წელს მოსკოვში. ეს ოქმები დაამუშავა ყრილობაზე არჩეულმა სარედაქციო კომისიამ.

ოქმების ახლანდელი გამოშვება იბეჭდება 1907 წლის გამოცემის ტექსტის მიხედვით, ისევე როგორც 1934 წლის გამოცემაში, მას წინ უძღვის ვ. ი. ლენინის „მოხსენება რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ“. იგი აშუქებს ყრილობის მუშაობისა და მენშევიკების წინააღმდეგ ყრილობაზე ბოლშევიკების ბრძოლის სურათს, ოქმების ტექსტში 1907 წლის გამოცემისაგან განსხვავებით შეტანილია ბოლშევიკური პროექტი რეზოლუციისა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ეს პროექტი დაწერა ვ. ი. ლენინმა. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

◆ **„მშვიდობისა და მეგობრობის გზით“.** **პარიზი,** 18 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით ეურნალ „ეტიუდ სოვიეტიკის“ რედაქციამ გამოსცა ალბომი „მშვიდობისა და მეგობრობის გზით“ აზიისა და აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ. ალბომი უხვად არის ილუსტრირებული ფოტოსურათებით.

◆ **ლენინური გამოფენა ალბანეთში.** **ტირანა,** 18 მარტი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა თ ვ ი ს მზადებასთან დაკავშირებით ქალაქ ბირიმასტრაში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე ექსპონირებულია 46 სტენდი მრავალი დოკუმენტითა და ფოტოფოტოგრაფიით, რომლებიც მოგვითხრობენ პროლეტარული რევოლუციის ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური გრძოლის შესახებ.

◆ **საზეიმო საღამო თბილისში.** ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად საქართველოს მშრომელები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის 12 წლისთავს.

ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც 18 მარტს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

ამერიკელი კომპოზიტორები სსრ კავშირში

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და კომპოზიტორთა კავშირის მოწვევით საბჭოთა კავშირში სტუმრად არიან ამერიკელი კომპოზიტორები — თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი არონ კოპლენდი და ახალგაზრდა კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი ლუკას ფოსი. ისინი სსრ კავშირში დარჩებიან 11 აპრილამდე.

მოსკოვში ყოფნის პირველ დღეს სტუმრები შეხვდნენ კომპოზიტორებს ტ. ხრენნიკოვს, დ. შოსტაკოვიჩს, ი. შაპორინს, ა. ნოვიკოვს. ამერიკელმა და საბჭოთა მუსიკოსებმა გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ა. კოპლენდისა და ლ. ფოსის სსრ კავშირში ყოფნის გეგმის შესახებ და განიხილეს პროგრამები კონცერტებისა, რომლებიც მათი მონაწილეობით გაიმართება მოსკოვში, ლენინგრადსა და რიგაში. ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი ამ კონცერტებზე უდირიჟორონ არა მარტო თავიანთ თხზულებებს, არამედ აგრეთვე რუსი და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც. საბჭოთა მსმენელები პირველად გაეცნობიან არონ კოპლენდის მესამე სიმფონიას, სიუიტებს „აპალაჩის გაზაფხულს“ და „ალერსიან მწყს“, ლუკას ფოსის საფორტეპიანო კონცერტს, ორკესტრის ოდასა და ხორალურ სიმფონიას. საბჭოური და ამერიკული მუსიკის პირველი კონცერტი გაიმართება მოსკოვში 25 მარტს.

ამერიკელი სტუმრები ეცნობოდნენ მოსკოვს, ნახეს პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა“, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირში მოისმინეს საბჭოთა ავტორების რამდენიმე ნაწარმოები. მათ განსაკუთრებით მოეწონათ დ. შოსტაკოვიჩის სავიოლონჩელო კონცერტი და გ. გალინინის საფორტეპიანო კონცერტი.

16 მარტს ამერიკელი კომპოზიტორები იყვნენ მოსკოვის „კონსერვატორიაში. ისინი გაეცნენ სსრ კავშირის მუსიკალური განათლების სისტემას და მოიწონეს იგი. (საკდესი).

საქართველო—ჩეხოსლოვაკია

რუსთავი. (საკ. კორ.). ერთ წელზე მეტია, რაც საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის და ოსტროვა-კუნჩიცის კლემენტ გოტვალდის სახელობის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივების მეგობრობას.

ჯერ კიდევ სამი თვის წინ შეიტყო ფურცელსაგლინავი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ნოდარ კურატაშვილმა, რომ ჩეხი მეტალურგის მიროსლავ ვილკის ბრიგადა, რომელიც მასთან არის ჩაბმული შეჯიბრებაში, იბრძვის სოციალისტური შრომის ბრიგადის სახელწოდებისთვის.

გუშინ ჩეხოსლოვაკიიდან ნოდარ კურატაშვილის სახელზე მოვიდა დეპეშა:

„ძვირფასო მეგობარო, ჩვენი ბრიგადის კოლექტივმა დღეს მიიღო სოციალისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება. გაცნობებთ რა ამას, გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამ სახელწოდების მოპოვებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს შორის გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. მოდი კვლავ ახალი ძალით გავაჩაღოთ შეჯიბრება. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას“.

ქართველმა მეტალურგებმა საპასუხო დეპეშა გაუგზავნეს ჩეხ მეგობრებს, მიულოცეს საპატიო წოდების მინიჭება და უსურვეს ახალი წარმატებები შრომაში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი

17 მარტს შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი.

პლენუმზე მოხსენება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ“ გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ჩიკვაიძემ, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. სიჭინავამ, კომკავშირის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გურგენიძემ, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ზადიშვილმა, კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ჭითანავამ, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. სანებლიძემ, სახალხო რაზმის წევრმა, თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის მოწინავე მუშამ ამხ. ლ. რამიშვილმა, კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ხუციშვილმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. ბურჭულაძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. ი. ღარიბაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ჭახრაკიამ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ი. ვერჩენკომ, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ამხ. გ. ბიწაძემ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო რეზოლუცია.

წარმატებით დაიწყო მზესუმზირას თესვა კვადრატულ ბუდობრივად ხიღნალის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში. ტრაქტორისტმა ვასილ ნოვიკოვმა პირველ დღეს მზესუმზირა დათესა 12 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა. სურათზე: სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ივანე ბაიდოშვილი (მარცხნივ) და მისი თანაშემწე დავით ნავროზაშვილი ამოწმებენ სათეს მანქანას თესვის წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 19 მარტს, მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეექვსე სესია.

სესიის განსახილველად აღმასკომს შეაქვს საკითხი:

ქ. თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ

სესია გაიხსნება დღის 2 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დღის 1 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.



ელენე გეგელაშვილი

მკერდ

ჯერ კიდევ სიზმარში მგონია თავი. ამ უკანასკნელი ერთი კვირის შთაბეჭდილებიდან ვერ გამოვსულვარ, ან რამდენი კვირა, თვე და წელიწადი უნდა გავიდეს, რომ მასზე ჩრდილი მიმიყენოს, გამიქროს და დამავიწყოს. შრომას ნაყოფი აგვირგვინებს. ისეთი ნაყოფი მოვიმკე, ისეთი...

მე ერთი უბრალო ფეიქარი ქალი ვარ. ჩემისთანა აქ, გორში, ბევრია, ასობით... შეიძლება გამიჭირდეს ახლა დალაგებით გიამბოთ.

აი წუხელ შეხვედრაზე გვესწრებოდით კლუბში. ყველამ კარგად ილაპარაკა. ერთმა, თუ გახსოვთ, მხატვრულადაც კი დაამთავრა თავისი სიტყვა: ჩვენო ელენე! დაე კვლავაც ნუ წყდებოდეს თითისტრებზე ეს წვრილი ძაფები თქვენს ნაზ, მგრძნობიარე ხელებში... მე კი ვერა... სანამ ტრიბუნაზე ავიდოდი, ყველაფერი დალაგებული მქონდა... უფრო ბევრი სათქმელი მომიზღავდა ტრიბუნიდან ჩამოსვლის შემდეგ... იქ კი ვერაფერი ვთქვი...

ახლა უკვე საკუთარი დაკვირვებიდან შემიძლია ვთქვა: როცა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ხდება, იგი ცდილობს გაიხსენოს ამ მომხდარი ამბის დასაწყისი. სად დაიწყო იგი?

თქვენ გაზეთის წარმომადგენელი ხართ, და გულახდილად უნდა გითხრათ: მე სწორედ გაზეთს მივაწერ, ჩემი სახელი საქვეყნოდ განთქმული რომ გახდა. რათ გადადეთ ფანქარი? გთხოვთ განაგრძოთ ჩაწერა.

... შესვენებაზე უნდა გავსულიყავი, კომბინატის დირექტორთან რომ დამიძახეს. ათასი ფიქრი მომაწყდა — რისთვის უნდა მიბარებდეს დირექტორი? შევდივარ. აქ არის კომბინატის პარტკომი, თაბკომი, დუშაც აქ ზის, ხაჩიძე. ჩემი თანამოდაზგე, მეზობელი ბრიგადის ხელმძღვანელი. მხოლოდ იმ ორ ახალგაზრდას ვერა ვცნობ, აღგილობრივს არა ჰგვანან.

— გაიცანი, ელენე, ესენი კორესპონდენტები არიან, თბილისიდან, — მეუბნება დირექტორი ალექსანდრე ცარციძე.

ხელი ჩამოვართვი. იმის მიხედვით, რომ ერთი მათგანი ფოტოაპარატით იყო შეიარაღებული, ისედაც მივხვდი მათს პროფესიას. აღარ გამკვირვებია ჩემი გამოძახება. მოწინავე ბრიგადა მყავს. ნახევარი წლის გეგმა ვადამდე შევასრულე. ამბობენ, სხვებს ვუსწრებ. მაშასადამე, სურათი უნდა გადამიღონ, დაწერონ ჩემზე. ამიტომ დაიბარეს ალბათ დუშა ხაჩიძეც. „აი ახლა არის დრო, ელენე, — ვეუბნები ჩემს თავს, — სანამ ეს კორესპონდენტებიც აქ არიან, ახლა ყველაზე კარგი მომენტი მაქვს — გამოვთქვა ჩემი გულისნადები...“

— საქმე ასეა, ელენე, — გამომარკვია ფიქრებიდან კომბინატის დირექტორმა ალექსანდრე ცარციძემ, — შენი და დუშა ხაჩიძის ბრიგადების გადაღება სურთ ამ ამხანაგებს, წერილი უნდათ დაწერონ გაზეთში თქვენზე.

— დაწერონ, გადაგვიღონ, ამხანაგო ალექსანდრე. მაგრამ არა ისე, როგორც ისინი ფიქრობენ,— ვეუბნები.

განცვიფრებული შემომცქერიან.

—მოწინავეობა განაღდებულია. ამაზე რაღა ვიტრაბახოთ.— განვაგრძობ მე.

— საათივით აქვს აწყობილი ბრიგადაში საქმე, — ჩაურთო პარტკომის მდივანმა დავით ბედოშვილმა და კორესპონდენტებს გადახედა.

— მე კი მინდა „ასაწყობ საათს“ მივუბრუნდე, — გავაწყვეტინე დავითს, — თქვენი თანხმობა და მხარდაჭერა თუ იქნება.

ვატყობ ვერ გამიგეს, მაშინ ვეკითხები:

— ვისზე ლაპარაკობს ახლა მთელი ქვეყანა, ვისზე სწერენ გაზეთები? — და მივაჩერდი დუშა ხაჩიძეს.

— გაგანოვა, მართლა, გოგო,— წამოიძახა დუშამ, მთლად გამოცოცხლდა, უწინ დაფიქრებული, დაავიწყდა კიდეც სად იჯდა.

— ჰოდა, მოდით, საქართველოში პირველი ჩვენ გამოვეხმაუროთ შორეულ რუს დობილს. მე მინდა გაგანოველი ვიყო...—ვთქვი მე.

სიტყვა უძლურია იმის აღსაწერად, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმა იქ დამსწრეებზე.

— აი ცხოვრებით ნაკარნახევი თემა, — აღფრთოვანებით თქვა ერთმა კორესპონდენტმა. და სულ სხვანაირად წარიმართა კორესპონდენტების მუშაობა იმ დღეს, შეიცვალა მათი შთანაფიქრი.

... გამოვეთხოვე (გამოთხოვებას უცრემლოდ არ ჩაუვლია) იმ დღეს ჩემს ბრიგადას და სამუშაოდ გადავედი სხვა ბრიგადაში, ყველაზე ჩამორჩენილში. პატარა მიტინგიც მოეწყო, სიტყვით გამოვედი. სხვებიც გამოვიდნენ. ყველამ მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება. მოვიდა მეორე დილით გაზეთის ახალი ნომერი. ეს მე ვარ პირველ გვერდზე, ჩემს ახალ ბრიგადაში. გასცილდა ელენე გეგელაშვილი გორს. შემცირდა მანძილი გორსა და ვიშნი ვოლოჩეკს შუა, დაუსწრებლად ვდობილდებით ქართველი და რუსი გოგონები, გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ხმირად ვწერთ ერთმანეთს მე და გაგანოვა, ვუზიარებთ გამოცდილებას, ვუამბობთ მიღწევებზე და სიძნელეებზე.

კომბინატში გამიჩნდნენ მიმდევრები: „საქმე მაშინ წახდა, როცა გოგოებს უნდა მივბაძოთ!“— ღიმილით ამბობს ქვეოსტატი დიმიტრი მამუკაშვილი და ჩვენს ბრიგადაში იწყებს მუშაობას კომპლექსის ხელმძღვანელად. და ახლა მინდა ვუთხრა ჩემი ბრიგადის წევრებს: გმადლობთ, ჩემი მაღალი ჯილდო თქვენი ჯილდოც არის. უთქვენოდ მე ვერაფერს გავხდებოდი... ძნელია, ძალიან ძნელია გადმოგცეთ ჩემი შთაბეჭდილებები, რაც მოსკოვში, ქალთა დიად დღესასწაულზე მონაწილეობის დროს მივიღე. უზომოდ გამახარა მაღალმა ჯილდომ — ჩემთვის სოციალისტური შრომის გმირის მონიშვნამ. ... „გეგელაშვილი რომელია აქ, გეგელაშვილი რომელია, ქართველებო? შემომესმა რუსი ქალის ხმა კრემლის დიდ დარბაზში. და როცა მომაკვლია, გადამეხვია. მეო, ამბობს, ვალენტინამ დამაბარა, გაგანოვამ, მოგნახო და გადაგეხვიოო, თვითონ ვერ წამოვიდა, ბავშვი ჰყავდა სუსტადო. ამ ახალგაზრდა გოგონამაც მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდო. მაისში თქვენი სტუმარი იქნება ვალენტინა, დღეებს ითვლის, ისე უხარია ქართველ დობილებთან მომავალი შეხვედრაო, — მეუბნებოდა ახალგაცნობილი ვიშნიოლოჩეკელი მეგობარი.

... მერე ბანკეტი იყო. სულ ახლოს მომიხდა ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვთან დაჯდომა. საღეგრძელო მეცა ვთქვი ჩემი დამტვრეული რუსულით, მაგრამ ყველა ინტერესით მისმენდა. ნიკიტა სერგის-ძე სულ იღიმებოდა და სიყვარულით მიყურებდა. გაგბედე და მივუახლოვდი სასმისით ხელში. ახლა-მეთქი, ამხანაგო ხრუშჩოვ, ქართულად უნდა დავლიო თქვენთან ეს სადღეგრძელო, ვახტანგურად-მეთქი, და სასმისიანი ხელი მკლავში გავუყარე. შევატყე, რომ შეხვედრია ასე დალევა სხვა დროსაც. დარბაზში დიდი აღფრთოვანება იყო.

... წამოვედით სამშობლოში. ჩქარი მატარებლით მოვდიოდი, მაგრამ გული მატარებელს უსწრებდა. მოვუახლოვდით მშობლიურ გორს. არასოდეს არ მენახა ბაქანზე ამდენი ხალხი. ორკესტრი უკრავდა. თაიგულები, თაიგულები... ვიღაცას აცილებენ ანიქნებ ჩვენს მატარებელს მოჰყვება ვინმე საპატიო კაცი! — ვფიქრობ და თვალებს ვაცეცებ. „რას დაიბენი, გოგო, შენზეა ეს ამბავი, შენზე, ვერ ხვდები?“ — მომვარდა მსახიობი ლეილა აბაშიძე, მეხვევა და მანჯღრევს, თითქოს უნდა გამომაფხიზლოსო.

ახლა კი მივხვდი, რომ მართლაც ჩემს გარშემოა ეს ამბავი. რამდენი თაიგულია!..

ეს იყო ნამდვილი მკა, ნუ წამიშლით ამას — პირველ რიგში ჩემი ბრიგადა იმკის. მკა გრძელდება. საიდან არ მომდის მოლოცვის წერილები.

მე და ჩემს ბრიგადას გვწამს, რომ ყოველივე ეს ბევრს, ძალიან ბევრს გვავალებს. გთხოვთ ჩაწეროთ ასე: 1 ივნისისათვის, ე. ი. ერთი თვით ადრე ჩემი ბრიგადა შეასრულებს ნახევარი წლის საწარმოო დავალებას. გაგვიძნელდება, მაგრამ გავაკეთებთ. ეს იქნება ჩვენი პასუხი პარტიის, სამშობლოს ამაგზე.

ჩაწერა ვ. თორდუამ.

• • •

ჩვენი ქვეყნის სახელოვან ქალთა მრავალრიცხოვან არმიას კიდევ ერთი სახელი შეეფატა. ეს არის გორის გამგეულის კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, გაგანოველი ელენე გეგელაშვილი.

მას ახლახან სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი მონაწილე იყო კრემლში გამართული ქალთა საერთაშორისო დღის ნიე ფლიოთავის ალსანიშნავი საზეიმო სხდომისა და დარგაზოვისა.

ვგეფდავთ ელენე გეგელაშვილის ნაამოგზ, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჩაიწერა.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირის ე. გეგელაშვილის ბრიგადის წევრები.

ფოტო შ. კუკულავასი.

პარტიული ცხოვრება

კონტროლის კომისიები სავაჭრო საწარმოში

„ქუთაისვაჭრობა“ ყველაზე დიდი სავაჭრო საწარმოა ქუთაისში. შარშან მან 400 მილიონზე მეტი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიჰყიდა მოსახლეობას და გადამეტებით შეასრულა საქონელბრუნვის წლიური გეგმა.

ასეთი წარმატება მნიშვნელოვანწილად იმან განაპირობა, რომ გაძლიერდა პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, გაუმჯობესდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი, დაინერგა პარტიული კონტროლის ახალი ორგანიზაციული ფორმები. „ქუთაისვაჭრობის“ პარტიულ ორგანიზაციაში ამ რამდენიმე თვის წინათ შეიქმნა საქონლის შეუფერხებელი შემოზიდვის უზრუნველყოფისადმი, საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვისადმი, მიმოქცევისა და წარმოების ხარჯების შემცირებისადმი პარტიული კონტროლის კომისიები.

უნდა ითქვას, რომ პარტიული კონტროლის სამივე კომისიამ უნარიანად, ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. მათს მუშაობაში იგრძნობა მაღალი პასუხისმგებლობა, კონკრეტულობა, ოპერატიულობა. ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლის კომისიამ, რომელსაც კომუნისტი ვ. ნამგალაძე ხელმძღვანელობს, პარტბიუროს წარუდგინა თავისი მოსაზრება სავაჭრო ქსელში მასობრივი რეიდის მოწყობის შესახებ. პარტბიურომ ეს წინადადება გაიზიარა.

ცხადია, ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას მარტოოდენ თავისი ძალებით არ შეეძლო ამ ღონისძიების განხორციელება და აი კომისიას მხარში ამოუდგნენ აქტივისტები — კომუნისტები და უპარტიოები. ამ მასობრივ რეიდში მონაწილეობა მიიღო 40-მდე კაცმა.

რეიდის მონაწილეებმა, რომელთა თვითეულ ჯგუფს პარტიული კონტროლის კომისიის წევრი ხელმძღვანელობდა, ერთდროულად ქალაქის 100-მდე სავაჭრო ობიექტი შეამოწმეს. გამოვლინდა მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების, ფასების დამახინჯების, ვაჭრობის წესების დარღვევის ბევრი ფაქტი. რეიდის მასალები კომისიამ შეაჯამა და ზომების მასალებად დირექციას წარუდგინა. თავის მხრივ „ქუთაისვაჭრობის“ დირექციამ ზომების მიუღებლად არ დატოვა არცერთი ფაქტი. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ვაჭრობის 16 მუშაკს. ხოლო ერთი მათგანი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან. ამასთან რეიდის მასალები განზოგადებულ იქნა, მიიღეს ამმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებიც.

მიმოქცევისა და წარმოების ხარჯების შემცირებისადმი კონტროლის კომისიამ ამას წინათ შეამოწმა სავაჭრო ქსელში ელექტროენერგიის რაციონალურად ხარჯვის საკითხები. გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. კომისიამ გამოავლინა აგრეთვე ხელფასის ფონდის გადახარჯვის და სხვა საეჭვოსხმო ფაქტები. ამ საკითხებზე კომისიამ იმსჯელა და თავისი წინადადებები წარუდგინა დირექციას, რომელმაც მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

მოქნილად ამოწმებს და ოპერატიულად აყენებს სწრაფად გადასაწყვეტ საკითხებს პარტბიუროსა და დირექციის წინაშე საქონლის შეუფერხებელი შემოზიდვისადმი კონტროლის კომისია, რომელსაც „ქუთაისვაჭრობის“ კადრების განყოფილების უფროსი გ. სამარგულიანი ხელმძღვანელობს. ამას წინათ კომისიამ გამოავლინა, რომ № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლთა დაუდევრობით ჩაიშალა ქსელში მინერალური წყლების შეზიდვა. ამ საკითხზე მაშინვე ეცნობა როგორც „ქუთაისვაჭრობის“, ისე ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექციებს. კომისიამ აგრეთვე გამოამჟღავნა, რომ შაქრის საწყობის გამგის მ. თევდორაძის უპასუხისმგებლობით ოთხი საათის განმავლობაში მოცდა ორი ავტომანქანა და რვა მტვირთავი მუშა, ამავე მიზეზით ჩაიშალა ქსელში შაქრის დროულად შეზიდვა. ეს ფაქტი მსჯელობის საგანი გახდა, ადგილზე მიღებული ზომებით მდგომარეობა გამოსწორდა.

პირველი ნაბიჯები მოწმობენ, რომ პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობა სულ უფრო ბრძოლისუნარიანი ხდება. ამასთან პარტიულმა ორგანიზაციამ საჭიროდ მიიჩნია, შეიქმნას ახალი კომისია. ეს არის ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვისადმი კონტროლის კომისია.

◆ კომისიის მასალების საფუძველზე ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ვაჭრობის 16 მუშაკს, ხოლო ერთი მათგანი მოხსნილ იქნა თანამდებობიდან.

◆ კომისიამ გამოავლინა სავაჭრო ქსელში ელექტროენერგიის არარაციონალურად ხარჯვის, ხელფასის ფონდის გადახარჯვის ფაქტები და თავისი წინადადებები წარუდგინა დირექციას, რომელმაც მიიღო სათანადო ზომები.

შ. ჯაფარიძე.

ტექნიკის სახლის დარგაზეგში

2. დიდი მომავლის პატარა ხელსაწყოები

ჩვენს დროში ძნელია გააკვირვო ვინმე რაიმე მანქანით და ხელსაწყოთი, ყოველ წელს მოაქვს ახალი დიდი გამარჯვებები მეცნიერებასა და ტექნიკაში. ადამიანმა უკვე დიდი ხანია ამოხსნა ატომის საიდუმლოება, დაარღვია კოსმოსის მყუდროება და ვინ იცის მალე რომელ პლანეტაზე დაადგამს ფეხს. ეს ამბები კარგად არის ცნობილი, მაგრამ არის მრავალი ახალი ხელსაწყო და მანქანა, რომლებზეც იშვიათად ან თითქმის არაფერი იწერება, უიმათოდ კი წარმოუდგენელია ტექნიკური პროგრესი. ეს ხელსაწყოები დაუღალავად მუშაობენ იქ, სადაც თვით მათ შემქმნელს — ადამიანს ფიზიკურად არ შეუძლია უშუალოდ ჩარევა, კონტროლს უწევენ მათზე უფრო დიდი მანქანების მუშაობას, სწვდებიან ბუნების საიდუმლოებებს.

... სწრაფად მიაპობს ტალღებს საოკეანო ხომალდი. შეუჩერებლად მუშაობენ მძლავრი მანქანები, დაუღალავად შრომობს ეკიპაჟი, რათა დროზე და უვნებლად ჩაიტანოს შორეულ ქვეყანაში მანქანები, ქსოვილები, ოქროსფერი ხორბალი, რომლითაც ამოვსებულია ხომალდის უძირო ტრიუმი. ნავსადგურში ტვირთის მიღების შემდეგ ტრიუმში უკვე იშვიათად თუ ვინმე ჩაიხედავს — მჭიდროდ არის დახურული ყოველი ჩასასვლელი, რომ ღელვის დროს იქ არ შეიჭრას წყალი, არ დააზიანოს ძვირფასი ტვირთი. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ეს ტვირთი უყურადღებოდ არის მიტოვებული. ტრიუმის დახურვის შემდეგ ადამიანების მაგივრობას აქ უკვე „გონიერი მანქანები“ ეწევიან.

მათ შორის არის ერთი პატარა ხელსაწყო, რომელზეც დამოკიდებულია არა მარტო ტვირთის, არამედ მთელი გემის და ეკიპაჟის უსაშიშრობა. ეს არის კვამლის ავტომატური სიგნალიზატორი. როგორც კი ტრიუმში კვამლი გაჩნდება და ხანძრის საშიშროება წარმოიქმნება, ხელსაწყო მაშინვე გადასცემს სიგნალს ხომალდის სამართავ განყოფილებაში. ეს შესაძლებლობას აძლევს გემის ეკიპაჟს სწრაფად მიაგნოს ხანძრის კერას, დროზე მიიღოს ზომები და თავიდან აიცილოს ხანძარი, რომელსაც ადრე არა ერთი უბედურება მოუტანია გაშლილ ზღვაში.

კვამლის ავტომატურ სიგნალიზატორს იყენებენ არა მარტო ხომალდებზე, არამედ დიდ საწყობებში, საწარმოებში და საერთოდ ყველგან, სადაც უშუალო კონტროლის განხორციელება ძნელია.

ამ ხელსაწყოს ნახვა შეიძლება ახლად გახსნილი სამრეწველო გამოფენის იმ სტენდებზე, სადაც წარმოდგენილია თბილისის ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის მიერ უკანასკნელ ხანებში შექმნილი მანქანები და ხელსაწყოები.

გამოფენაზე წარმოდგენილ ხელსაწყოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხელსაწყო, რომლის საშუალებით ხდება ნიადაგის ტუტიანობის და მჟავიანობის გაზომვა. ამ მიზნით საკონტროლო ხსნარში უშვებენ ხელსაწყოს შტანგის ქვედა ნაწილს, რომელზეც მოთავსებულია ეგრეთწოდებული „გადამწოდი“ მცველი საფარით. კვების წყაროს ერთი კომპლექტი უზრუნველყოფს ხელსაწყოს მუშაობას 100 საათის განმავლობაში. ხელსაწყო დაახლოებით 1,5 კილოგრამს იწონის, რაც აადვილებს მის საველე პირობებში გამოყენებას.

ეს ხელსაწყო დიდ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მისი საშუალებით შეიძლება გავიგოთ, თუ რომელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები უფრო შეეფერება ამა თუ იმ ნიადაგს და ამის საფუძველზე მოვახდინოთ სწორი დარაიონება. გარდა ამისა, ხელსაწყო უზრუნველყოფს სასუქების სწორად შერჩევას, რაც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას. ამ ხელსაწყოზე დიდი მოთხოვნილებაა. მის სერიულ წარმოებას უკვე ითვისებენ ჩვენი რესპუბლიკის ხელსაწყოთმშენებელი საწარმოები და გომელის საზომ ხელსაწყოთა ქარხანა.

ამავე სტენდზე არის უნივერსალური ხელსაწყო კვამლიანობის, მტვრიანობის და ნისლის ავტომატური გაზომვის, რეგულირებისა და სიგნალიზაციისათვის. იგი დიდ გამოყენებას ჰპოვებს მსუბუქ და ქიმიურ მრეწველობაში, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და მრეწველობის სხვა დარგებში.

გამოფენაზე წარმოდგენილია კიდევ მრავალი ხელსაწყო, რომლებიც განკუთვნილია საფეიქრო მრეწველობაში ტექნოლოგიური ხსნარების კონცენტრაციის გაზომვის, ჩაწყერისა და სიგნალიზაციისათვის, ძირითადად გათეთრებისა და ღებვის პროცესზე. ზოგიერთი მათგანის დანერგვა დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს სახელმწიფოს. მაგალითად, მხოლოდ ერთი ხელსაწყოს ტყავის მრეწველობაში გამოყენებით შეიძლება დაიზოგოს 1 მილიონ მანეთზე მეტი.

ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს სტენდებს გამოფენის პატარა კუთხე უკავიათ, მაგრამ აქ წარმოდგენილი ექსპონატები ნათლად მოგვითხრობენ იმ დიდ მუშაობაზე, რასაც ჩვენი მეცნიერები და ინჟინრები ეწევიან ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, მომავლის მანქანების შესაქმნელად.

შ. ციცრეკიძე,
ა. ხუციშვილი.

გამოფენის მონაწილეები ეცნობიან თბილისის ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელი საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დამზადებულ ახალ ხელსაწყოებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და ო. ხავთასისა.

მკითხველთა წერილებიდან

აი რაზე სტკივათ გული

□ **სოფელი გულვანი,** რომელშიც 500-ზე მეტი მცხოვრებია, აბაშის რაიონულ ცენტრს 5 კილომეტრით არის დაშორებული, მაგრამ აქაური კოლმეურნეები მოკლებული არიან კინოს, რადიოს, განათებას, სოფელში არ არის კლუბი და სამკითხველო.

კლუბის ასაგებად შეგროვებული იყო ფული და საშენი მასალა, მაგრამ მშენებლობა რატომღაც ჩაიშალა.

ბენსონერი **ნ. ლასარეიშვილი.**

□ **წირქვალის** (ჭიათურის რ.) სასოფლო საბჭო 4 კოლმეურნეობას ემსახურება. სოფლის ცენტრი თანდათან კეთილმოწყობილი ხდება, მაგრამ სამედიცინო მომსახურებაზე არავინ ფიქრობს. ორი წელია გვპირდებიან დაგვინიშნონ ექიმი, მაგრამ შედეგი არა ჩანს.

ო. გურული.

□ **სოფელ ქარჩოხის** (ლენინგორის რაიონი) მშრომელები დიდი დაგვიანებით, ხოლო ხშირად სულაც არ იღებენ ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს, ამანათებს. დაზიანებულია რადიოკვანძი, საექიმო უბანიც სრულიად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული...

ე. ძიბავა.

□ **სოფელი შეშელეთი** (გალის რაიონი) რადიოფიცირებული იყო ჯერ კიდევ 1949 წელს. წელიწადზე მეტია რადიო ხმას არ იღებს. ამას კი არავინ არ აქცევს ყურადღებას.

ლ. ტაბაღუა.

□ **სამტრედიის** რაიონის სოფელ ბაშსა და რკინიგზის სადგურიანთს შუა გზა ძალიან დაზიანებულია, გუბეები და ორმოები მიმოსვლას აძნელებს.

ტ. გოგუაძე.

ჰართველების ქმურ ოჯახში

პრესის მიმოხილვა

ჭიათურა მრავალფეროვანი, ინტერნაციონალური ქალაქია. აქ ნახავთ რუსსა და უკრაინელს, ბელორუსსა და აზერბაიჯანელს, სომეხსა და ლიტველს, დიდი ჩინეთის წარმომადგენელს და გერმანელს, ბერძენსა და ებრაელს... ყველანი გულწრფელად ამბობენ: საქართველო ჩვენი მეორე სამშობლოა, ჭიათურა კი შშობლიური ქალაქია. ისინი ისე დაუმეგობრდნენ ქართველებს, შრომამ ისე დააკავშირა ერთმანეთთან, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ სხვაგან ცხოვრება, თუ არა ჭიათურაში.

უთუოდ კარგად მოიქცა საქალაქო გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“, როცა ამ დღეებში დაბეჭდა გვერდი „ქართველების ძმური ოჯახში“, სადაც სხვადასხვა ერის წარმომადგენლები მოგვითხრობენ ჭიათურაში გატარებულ წლებზე, თავიანთ ბედნიერ ცხოვრებაზე.

„არასოდეს არ დამავიწყდება ჩინეთიდან ჭიათურაში ჩამოსულის პირველი დღეები. უცხო ქალაქის უცხო მიწამ დიდი შშობლიური სითბო მაგრძნობინა. ახლა ჭიათურა ჩემი მეორე სამშობლოა. მე ქართველი მეუღლე მყავს და ოჯახიც თითქმის ქართულია. ჩემი ერთი ქალიშვილიც ქართველების რძალია“, — წერს ჩინელი ი. ლიუ დაშენი.

რა სათნო, ფაქიზი და გულისხმიერი მოხუცია ლიტველი ვ. იარონისი. ლიტველი მას შეიძლება პირობითად ვუწოდოთ, იგი თბილისშია დაბადებული, 42 წელია ჭიათურაში ცხოვრობს და მუშაობს, სუფცხოო დარბაისული ქართულით საუბრობს.

„ისე შევეცისხლხორცე ქართველებს, რომ ზოგჯერ არც კი მგონია, თუ სხვა ერის შვილი ვარ. საქართველო ჩემი ნამდვილი სამშობლოა. მიყვარს ქართველი ხალხი, რომელთანაც არა მარტო საქართველოს მკვიდრობა, არამედ მშვიდრო ნათესაობაც მაკავშირებს. ჩემს ვაჟს, სამამულო ომში დაღუპულ ხერგიის, ქართველი ქალი ჰყავდა მეუღლედ, ხოლო ჩემი ქალიშვილი ლიუსია ქართული ოჯახის რძალია“, — ამბობს იგი.

წერილში „ელადელთა ქართული კერა“ საინტერესოდ არის მოთხრობილი ბერძენი ძმების კირო და პეროკლე პავლიდების ოჯახებზე, მათს ცხოვრებასა და შრომითს საქმიანობაზე, ქართველებთან მათ გულითად მეგობრობაზე.

ვ. პეტიზბიანცევი სტალინგრადიდან 1934 წელს ჩამოვიდა ჭიათურაში. აქ გულთბილად მიიღეს. სტალინის სახელობის მაღაროში შეისწავლა ზეინკლობა. აქ შექმნა ოჯახი და ახლა მაღაროს საელმავლო დეპოს უფროსია. იგი წერს:

„მე და ჩემი ოჯახი მშობლიურ გარემოცვაში ვგრძნობთ თავს. ვცხოვრობთ ახალ, კეთილმოწყობილ ბინაში. გვიყვარს ქართველები, რადგან ისინი ძალიან შრომისმოყვარე, გულითადი და მეგობრული ხალხია“...

მარგანეცის ქალაქში გატარებულ წლებზე, ჭიათურელ მშრომელებთან გულითად, გულწრფელ მეგობრობაზე და ქართველებთან მხარდამხარ შრომაზე მოგვითხრობენ ჭიათურის მკვიდრნი — რუსი მასწავლებელი ქალი ვ. მატჩინა, უკრაინელი მასწავლებელი ქალიშვილი რ. პანასიუკი, სტალინის სახელობის მაღაროს ელექტროზეინკალი მ. ფრიდმანი, ჭიათურმშენის მლესავთა ბრიგადირი კ. მამედოვი.

ამ გვერდის დაბეჭდვით „ჭიათურის მაღაროელმა“ კარგი საქმე გააკეთა.

პ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ ო რ ა ნ ი ვ ი თ გ ა ა შ ა ვ ე ს

იყო სოფელში დაასე ზრუნავდე?!

— გაზაფხული იყო. ასიამოვნოდ თბილი ილა გათენდა, — მიგებოდა ერთი ჩემი ავრეველი ნაცნობი, რომელსაც სოელში ზედმეტ სახელად კიტას ძახიან—ჩვენი ბრიგადის რამდენიმე კოლმეურნე სათეს მანქანებან მივდიოდით მინდვრად. სოფლის საბჭოს რომ მიეუახლოვდით, ალობის მეორე მხრიდან, საბჭოს თავმჯდომარე გამოჩნდა. საამისათვის მოვემზადეთ, მაგრამ ავმჯდომარემ სახე აგვარიდა, ისე აგვიარა, თითქოს არც კი შევუნიშნავართ. სწორედ გითხრათ, აგვიკვირდა, გვეწყინა სოფლის ოკაცის ასეთი მოქმედება.

ერთხანს უხმოდ მივდიოდით. ორინველთა ყღურტული მიგვაყლებდა. მერე სიჩუმე ისევ ჩემ თანამგზავრმა დაარღვია:

— სალამი მტერსაც არ დაეკაება, მაგ კაი კაცს ჩვენ რა დავუავეთ.

კარგად ვიმუშავეთ. სამხრობა ქნებოდა, რომ თესლი დაგვაკლა, სანამ მინდვრიდან კაცი არ გაოვგზავნეთ, თესლი არავინ მოგაწოდა. ისე დავამთავრეთ საგაზხულო თესვა, რომ კოლმეურნების გამგეობიდან და სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან მინდვრად რავინ გვინახავს. სოფლის თავკაებს არც მერე მოუცლიათ სოფლისათვის. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ჩვენი სასოფლო-საეურნეო არტელი ჩამორჩება. ოფლის კეთილმოწყობისათვის რაფერი კეთდება.

ზუსტად არ მახსოვს როდის ყო, სოფლის საბჭოში რაღაც საქისათვის მივედი. თავმჯდომარის თახიდან შავებით მოსილი ხანში შესული ქალი გამოვიდა, ეტყოდა მეტად უკმაყოფილო ბრუნდებოდა. ვიცანი ცერონისელი დარიკო თედეშვილი. მისი ქმარი — ეორგი წლების მანძილზე თავმჯდომეობდა ჩვენს სასოფლო საბჭოს. ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. გამოველაპარაკე დარიკოს.

— ამ ხნის ქალი ერთი ცნობისათვის ვინ იცის რამდენჯერ მოვსულვარ, და ვერ მივიღე.

აღარაფერი მითქვამს. დავშორდით. ვფიქრობდი, არჩევანში ხომ არ შევცდით-მეთქი. მაგრამ მაშინ პასუხი არ გამიცია ჩემსავე კითხვაზე. სოფლის მკვიდრია, უმაღლესი განათლება აქვს, მასწავლებლად იყო დ ცუდად არ ასწავლიდა. ამა უკეთესი კანდიდატი ვინ უნდა შეგვერჩია სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ? მაგრამ რაც დრო გადიოდა, ეს აზრი თანდათან ქარწყლდებოდა, სოფლის თავკაცზე უკმაყოფილოდ ალაპარაკდა მთელი სოფელი.

დეკემბერი იდგა, გარეთ ცივი ქარი ზუზუნებდა. თავმჯდომარე წინა დღეს რაიონის ცენტრში იყო და გვიან მოვიდა საბჭოში. მოსცლისთანავე მთხოვნელებს უარი უთხრა მიღებაზე:

— დღეს სხვა აუცილებელი დავალება გვაქვს და თქვენთვის ვერ მოვიცლი.

მერე სოფლის საბჭოს მდივანს ცისანა ჯინორიძეს გადაულაპარაკა:

—შეიძლება შეგვამოწმონ, ყველაფერი რიგზე უნდა გვქონდეს, ამა ქაღალდი აიღე და კალამი მოიმარჯვე.

„ოქმი № 9. 1959 წლის 27 დეკემბერი. შედგა სასოფლო საბჭოს მეცხრე სესია. დღის წესრიგი: სასოფლო საბჭოს აღმასკომის ანგარიში. მომხსენებელი ა. გელაშვილი... სასოფლო საბჭო ორ კოლმეურნეობას და ოთხ სოფელს აერთიანებს, კომლთა რაოდენობა 603, სულ მოსახლე 2225. საბჭოს ტერიტორიაზეა ერთი საშუალო, ორი დაწყებითი სკოლა, ორი მაღაზია, საექიმო უბანი, საბებიოსაფერშლო პუნქტი, კლუბი, ორი ბიბლიოთეკა, საფოსტო განყოფილება. თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებს სასოფლო საბჭოს ხუთივე მუდმივი კომისია“, უკარნახებდა თავმჯდომარე, მაგრამ... აქ სიტყვა შეწყვიტა.

— კომისიების სხდომის ოქმები რომ მოგვკითხონ, რა ვიჩვენოთ? — ჰკითხა მდივანს.

ახალგაზრდა მდივან ქალს პასუხი არ გაუცია, ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე, ოქმის წერას ასწავლიდა, თუ სცდიდა.

მაგრამ არც ერთი იყო, არც მეორე. თავმჯდომარემ მდივანს ამ დღეს დააწერინა აღმასკომის სხდომებისა და სესიების ყალბი ოქმები.

ჩემმა ნაცნობმა აქ შეწყვიტა საუბარი და გამომემშვიდობა.

ამას წინათ ქარელის რაიონში ვიყავი. მომაგონდა იმ ნაცნობის საუბარი, და ვიკითხე ავლევის სასოფლო საბჭოს მუშაობის ამბავი. რაისაბჭოს აღმასკომში მითხრეს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ალექსი გელაშვილი ამომრჩევლებმა დეპუტატობიდან უკან გაიწვიეს, გუშინ იმ ოლქში, სადაც ის იყო არჩეული, ახალი არჩევნები მოეწყოო.

ალექსი გელაშვილს მთელი სოფელი იცნობდა, პატივსაც სცემდნენ. ამიტომაც აირჩიეს თანასოფლელებმა ის სასოფლო საბჭოს დეპუტატად, სესიამ კი — სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მაგრამ წინათ მოპოვებული ავტორიტეტი დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს: უხეირო, ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო, ისე მოუვიდა ა. გელაშვილს, — ყორანივით გააშავეს.

მ. ხეთაგური.



სან-ფრანცისკო: საბჭოთა ჯარისკაცები ქალაქის მერთან ჯ. კრისტოფერთან. მარცხნიდან მარჯვნივ: ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ჯ. კრისტოფერი, ი. ფედოტოვი და ა. კრიუჩკოვსკი.

„ქმნა მართლისა სამართლისა...“

ვალერის არავისათვის არაფერი არ დაუშავებია იმით, რომ გაჩნდა ქვეყანაზე; არც მამისათვის, რომელსაც ერთხელაც არ უნახავს იგი, და არც დედისათვის, რომელმაც იგი სულ პატარა მიიყვანა სოხუმის ჩვილ ბავშვთა სახლში. მიიყვანა, და მას შემდეგ ერთხელაც არ მოუკითხავს...

სამადგილო ვალერის მიაკითხეს თამარ და ანდრო ფაჩულიებმა და შინ წაიყვანეს. სოხუმის ჩვილ ბავშვთა სახლმა ყველა წესის დაცვით გააფორმა ფაჩულიების მიერ ვალერის შვილად აყვანის ფაქტი.

მაგრამ... მოხდა სამწუხარო ამბავი. მალე გარდაიცვალა ჯერ ანდრო ფაჩულია, ხოლო შემდეგ მისი მეუღლე თამარ გეწყაძე-ფაჩულია. ვალერი კვლავ დარჩა უდედმამოდ.

ვინ იზრუნებს ვალერის მომავალზე? აი კითხვა, რომელიც წამოიჭრა ფაჩულიების ნათესავ-მეგობართა შორის. განსაკუთრებით აქტიურობდა ვალერის ბიძა ვლადიმერ გეწყაძე. მან შემოიარა „ზღვა და ხმელეთი“, მიაკვლია ვალერის ნამდვილ დედას იულია ბელიაკოვსკაიას, მიაკვლია და მიიწვია ფაჩულიების სახლში, აჩვენა ვალერი და ჩაუბარა.

კეთილი საქმეა — იტყვის ალბად მკითხველი და დაუმატებს: ბიძაც სწორედ ასეთი უნდაო...

მაგრამ... რა ეწყადა „ბიძას“ ამ „ქველმოქმედებაში“, ეს მალე გამომჟღავნდა. „მზრუნველმა“ ძმამ მომაკვდავს ჩამოართვა ანდრეძი, რომლითაც თამარ ფაჩულია თავის უძრავ-მოძრავ ქონებას ხაჩუქრად უტოვებდა ვლადიმერ გეწყაძეს. ანდრეძი ნოტარიუსმაც დაამოწმა.

„ჩემი და გარდაიცვალა, ანდერძი ხელთა მაქვს, ბავშვის ნამდვილი დედა მოვნახე და ...მეუკედრეობა დაუბრკოლებლად შესძლია მივიღო. რაო, იულია შვილს ვერ აღზრდის, აი ჩემი დარდი... მე კი... ხუმრობა ხომ არ არის, სოხუმში მექნება ორსართულიანი სახლი...“ — ანგარიშობდა თავისთვის ვლადიმერ გეწყაძე.

ანგარიშობდა, მაგრამ... როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა — 1958 წლის 10 მაისს ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს ა. ჯაჯიას თავმჯდომარეობით გაიუქმა თამარ ფაჩულიას ანდერძი და, ამრიგად, ვ. გეწყაძის გაძლიერებულ მადას ფრთები შეეტრუნა.

მაშინ კეხი შეატრიალა ვ. გეწყაძემ და სოხუმის სახალხო სასამართლოში ახალი საჩივარი აღძრა — თამარ ფაჩულიას კმაყოფაზე იყო დედამისი პელაგია გეწყაძე (რომელიც ქალაქ ზესტაფონში ცხოვრობს) და ამიტომ შვილის ქონება დედას უნდა დარჩესო.

სასამართლომ გეწყაძის ეს ოინებიც უარყო.

გამწარდა ვლადიმერი, კაცი აფრინა იულია ბელიაკოვსკაიასთან. ბევრი ევაჭრა თუ ცოტა, ხელი მოაწერინა განცხადებაზე, რითაც იგი სასამართლოს სთხოვდა გაეუქმებინა თამარ და ანდრო ფაჩულიების მიერ ვალერის შვილად აყვანის ფაქტი.

ეს მესამე „ცდა“ გაუმართლდა ვ. გეწყაძეს. ქალაქ სოხუმის სახალხო სასამართლომ, შემცველი მოსამართლის, კ. გაბუნიას თავმჯდომარეობით დაკმაყოფილა მისი სარჩელი. დაკმაყოფილა და არ იფიქრა იმაზე, რომ ამ გადწყვეტილებით პატარა ვალერის უკარგავდა მემკვიდრეობას სოხუმში, ყოველთვიურად 420 მანეთ პენსიას, რომელსაც იღებს მამის — ანდრო ფაჩულიას გარდაცვალების გამო, და საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებდა ბავშვის მომავალს.

ამიტომ იყო, რომ სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გათალების განყოფილებამ გაასაჩივრა სასამართლოს უკანონო გადწყვეტილება. საქმე გადაეცა აბაზის სსსრ უმაღლეს სასამართლოს. უკანასკნელმა უყოყმანოდ დაამტკიცა იგი.

საქმეში ჩაერია საქართველოს სსრ პროკურატურა, შემდეგ უმაღლესი სასამართლო და ღარღვეული საქმე სამართლიანი მითითებით განსახილველად დაუბრუნდა ამჯერად სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლოს.

კვლავ შედგა სასამართლოს საჯარო სხდომა. დაჰკითხეს მოწმეებს, ილაპარაკეს მხარეებმა, დაიწერა ოქმი, გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც ორი წვეთი წყალი ერთმანეთს, ისე ჰგავს სასამართლოს წინა გადაწყვეტილებას.

ეს გადაწყვეტილებაც გაასაჩივრეს. აფხაზეთის სსრ უმაღლესმა სასამართლომ რატომღაც სამჯერ გადადო მისი განხილვა. შემდეგ კი გადაუგზავნა სამხრეთ ოსეთის სოფლო სასამართლოს, რომელმაც დაარღვია საქმე და განსახილველად კვლავ დაუქვემდებარა სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლოს.

ამრიგად, ექვსი წლის ვალერი „მზრუნველი“ ბიძის ვ. გეწყაძის წყალობით მალე მეცხრეჯერ წარსდგება სასამართლოს წინაშე...

ასეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი სასამართლო სეანსების განმავლობაში ვ. გეწყაძე გულხელდაკრეფილი როდი იჯდა. მან ამისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ამინდი, მოახერხა საკუთარი სახლი ქალაქ ზესტაფონში ხან დედის — პელაგიას სახელზე გაეტარებინა, ხან თავის საკუთრებად გამოეცხადებინა.

ამბობენ, ახლა ვ. გეწყაძე კვლავ ახალი იერიშებისათვის ემზადებოდა. მისი ძმაშვილი ისევ მცირეწლოვან ვალერის წინააღმდეგ არის მიმართული... ისევ სოხუმში ფაჩულიების სახლს უმიზნებს, ისევ წერს განცხადებებს, საჩივრებს, მოკითხვის ბარათებს, წერს... მაგრამ აბა რა უნდა დაწეროს იმაზე ნაოლი, რაც უანდერძებია მართლმსაჯულთათვის შოთა რუსთაველს:

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ი. გოგბეჩია.

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთხ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, მიძღვნილი ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვისადმი.

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რომელიც ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ი. ბუაჩიძემ — „წყალტუმბვის გამოყენების შესახებ ალაზნის არტეზიულ აუზში წყალმომარაგების მიზნით“ და სხვ.

მრეწველობისა და ტრანსპორტის ელექტროფიკაციის, სავარმოო პროცესების ავტომატიზაციის და სამშენებლო სექციების სხდომებზე წაიკითხულ იქნა 44 სამეცნიერო-ტექნიკური მოხსენება.

მხოლოდ ერთი წელია, რაც თბილისის უცხო ენების ინსტიტუტიდან ახალციხის სკოლაში სამუშაოდ წავიდა ქეთევან ჭურდაძე.

ამ მოკლე დროში ახალგაზრდა მასწავლებელმა მოსწავლეთა სიყვარული დაიმსახურა. საინტერესოა მისი გაკვეთილები ინგლისურ ენაში.

სურათზე: ქეთევან ჭურდაძე ამეცადინებს მოსწავლე მაგდან ნასყიდაშვილს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

საბჭოთა ახალგაზრდობის მამაცობა მსოფლიოს აცვიფრებს

მადლობელი ვართ!

ამგზოგს მამაცი ოთხეული

ნიუ-იორკი, 17 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩოვი იუწყება:

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მისასალმებელ მა დეპეშამ დიდად გაახარა ოთხი საბჭოთა მეომარი, რომლებმაც განსაკუთრებით ძნელ პირობებში გმირული დრეიფი მოახდინეს წყნარ ოკეანეში.

— გუშინ საღამოს დაბრუნდით ქალაქ სან-ფრანცისკოდან, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ა. ზიგანშინმა, — და გადმოგვცეს დიდი დეპეშა. ძნელია აკვნეროთ ჩვენი მღელვარება, როცა შევიტყეთ, რომ მოგვესალმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. სულითა და გულით მადლობელი ვართ ამ მისასალმების გულთბილი სიტყვებისათვის, მამობრივი ზრუნვისათვის.

— სიმართლე რომ ვთქვათ, — განაცხადა ა. კრიუჩკოვსკიმ, — არ მოველოდით, რომ ჩვენს მოქმედებას ასე დიდად დააფასებდნენ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ჩვენი მხედრული მოვალეობა შევასრულეთ. ყოველი საბჭოთა მეომარი ჩვენს ადგილას სწორედ ასეგე მოიქცეოდა. გადაეცით ნიკიტა სერგის-ძეს ჩვენი დიდი მადლობა.

— როცა კვლავ და კვლავ ვკითხულობთ ნიკიტა სერგის-ძის გულითად სიტყვებს, — განაცხადა იგანე ფედოტოვმა, — გვგონია, რომ მთელი ჩვენი დიდი სამშობლო გველაპარაკება. დიდი, დიდი მადლობა მას ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

— ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დეპეშამ იმდენი ახალი ძალა და ენერგია შეგვმატა, — ამბობს ფ. პოპლავსკი, — რომ გვგონია არც შიმშილი გამოგვიცდია, არც წყურვილი და არც გაჭირვება. მთელ სიცოცხლეში გვეხსომება მისი გულთბილი მამობრივი სალამი. ჩვენ ვამაყობთ და ბედნიერი ვართ.

წყნარი ოკეანის ამ ლეგენდარული დრეიფის ოთხი გმირი, რომლებიც „მეგობრობის გასაღების“ მცველები. არიან, დღეს სან-ფრანცისკოს თვალიერებდა. ქალაქის ეს ადგილები მათ გადასცა მერმა ჯ. კრისტოფერმა, რომელმაც გულთბილად მიიღო საბჭოთა ჭაბუკები სან-ფრანცისკოს მერიაში. ამ გულთბილმა მიღებამ ასახა ამერიკელთა მეგობრული გრძნობები საბჭოთა ადამიანებისადმი. ყველგან, სადაც კი გამოჩნდება გმირი ოთხეული, ისინი გარემოსილი არიან მეგობრული გულითადობით.

საბჭოთა ჭაბუკებს ძალიან სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში, დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.

გუშინ, როცა ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ა. კრიუჩკოვსკი, ი. ფედოტოვი ქალაქში მორიგი გასეირნებისათვის გამოვიდნენ, ავიდნენ „კოიტ ტაუერის“ კოშკზე, რომელიც არის „ტელეგრაფ ჰილზე“ სან-ფრანცისკოში. აქედან მოჩანს ოქროს კარიბი და სან-ფრანცისკოს უბის ფართო ხეები. უბიდან ამ დროს გამოდიოდა ავიამზიდი „კირსარჯი“, რომელიც სამხრეთ კალიფორნიაში მიდიოდა, გულთბილად გააცილეს საბჭოთა ჭაბუკებმა ხომალდი, რომელმაც ისინი გადაარჩინა.

უბრალო საბჭოთა ჭაბუკები ამკაცრად შეცბუნებული არიან დიდი ყურადღებით, რასაც მათდამი აქ ამერიკაში იჩენენ. მათ მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენიათ, ისინი ხომ „ჩვეულებრივი, საბჭოთა“ ადამიანები არიან. მაგრამ სწორედ ეს იპყრობს ამერიკელთა ყურადღებას — უდიდესი ამტანობა, არაჩვეულებრივი სიმამაცე ადამიანებისა, რომლებიც გმირობისათვის მოამზადა არა რაიმე სპეციალურმა ლონისძიებამ ან წვრთნამ, არამედ მთელმა საბჭოთა წყობილებამ, მთელმა საბჭოთა ცხოვრების წესმა.

დღეს აქ მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისადმი, სადაც გამოთქმულია ღიდი მადლობა ოთხი მამაცი საბჭოთა ჯარისკაცის გადარჩენისათვის, რომელნიც მრავალი დღის განმავლობაში მამაცურად ებრძოდნენ სტიქიონსა და გაჭირვებას წყნარი ოკეანის სიერცეებში.

ამასთან დაკავშირებით აქ კვლავ იხსენებენ „კირსარჯის“ ამერიკელ მეზღვაურებს, რომლებმაც ჩაიდინეს კეთილშობილური საქმე, გამოიჩინეს ზღვაში მეგობრობისა და უთანაგრძნობის ტრადიციული გრძნობა. ხომალდის მეთაური ლ. რ. ტაუსენდი, ამერიკის ავიამზიდის მთავარი ექიმი ფრედერიკ ბეკეი, რომელმაც ძალიან კარგი საექიმო მოკლა მოუწყო ოთხ გადარჩენილ საბჭოთა ჯარისკაცებს, ავიამზიდის თვითმფრინავების მფრინავები, რომლებმაც აღმოაჩინეს მოდრეიფე კარჭაპი, დახელოვნებული პილოტები, რომლებიც მართავდნენ ვერტმფრინავების საჭეს, რომლებმაც კარჭაპიდან სპეციალური სამარჯვების საშუალებით გადმოაყვანეს გაჭირვებაში ჩავარდნილი საბჭოთა ჭაბუკები, ხომალდის მთელი პირადი შემადგენლობა — ყველა მათგანმა დაიმსახურა საბჭოთა ადამიანების მადლობა.

ჯარისკაცთა ოთხეულს

არქტიკაში მოდრეიფე საბჭოთა სადგურების უფროსთა ჯგუფმა მამაცი საბჭოთა ჯარისკაცების ოთხეულს გაუგზავნა შემდეგი მისალმება:

მხურვალედ მოგესალმებით „ჩრდილოეთ პოლუსის“ მოდრეიფე სადგურების მონაწილეთა სახელით. თქვენ, მეგობრებო, გამოამეღვნეთ ნამდვილი ვაჟკაცობა, გამოიჩინეთ უჩვეულო სიძნელეთა გადალახვის, გამძლეობის, დისციპლინისა და სიმტკიცის მაგალითი, რაც დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის.

მაგრად გართმევთ ხელს. მოველით თქვენს მალე დაბრუნებას საშობლოში.

საბჭოთა კავშირის გმირი გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი მ. მ. სომოვი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ფ. ტრეშნიკოვი, ვ. მ. დრიაცკი, ვ. ს. ანტონოვი, ა. ლ. სოკოლოვი, ვ. ა. ვედერნიკოვი, ნ. ა. ბელოვი, ს. ტ. სერლაპოვი, კ. ა. სიჩოვი.

ოკეანის დამპყრობნი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტები ვ. ბოგაჩევი და ვ. ალოიოლნიკოვი იუწყებიან: ნიუ-იორკის აიდლუაილდის აეროპორტში ჩვეულებრივი საქმიანი გამოცოცხლება.

აეროვაგზლის შენობაში საფრენი მინდვრიდან წამდაუწუმ შემოდიან საჰაერო მოგზაურები. ესენი არიან ჩიკაგოელი ბიზნესმენები, ბოსტონელი ინჟინრები, სასოფლო-სამეურნეო შტატების ფერმერები. ბევრია უცხოელი სტუმარი. აიდლუაილდი სამართლიანად ითვლება ნიუ-იორკის საერთაშორისო აეროპორტად.

აეროპორტს უნახავს ბევრი სასიხარული შეხვედრა, მაგრამ დღევანდელი შეხვედრა განსაკუთრებულია. სან-ფრანცისკოდან ელოდებიან თვითმფრინავს, რომელსაც მოჰყავს წყნარ ოკეანეში დრეიფის ოთხი საბჭოთა გმირი.

თვითმფრინავის მოლოდინში შეიკრიბა შეხვედრთა დიდი ჯგუფი — აქ არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის საელჩოს მუშაკები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის საბჭოთა დიპლომატები, საბჭოთა ჟურნალისტები, ამერიკელი კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები, კინოქრონიკისა და ამერიკის ტელევიზიის ოპერატორები.

18 მარტს 01 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით (17 მარტს 17 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით) კომპანია „ტრანსსუოორლდაილინსის“ სარეისო თვითმფრინავი მოადგა აეროპორტის შენობას. თვითმფრინავიდან გამოდიან ა. ზიგანშინი, ფ. პოპლავსკი, ი. ფედოტოვი, ა. კრიუჩკოვსკი, გაისმის ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ზუზუნებენ კინოკამერები, გმირებთან მიდიან საბჭოთა ამხანაგები. სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ატაშე კონტრ-ადმირალი ბ. ფ. იაშინი გადაეხვია და გადაკოცნა მამაცი ჯარისკაცები. მან მიულოცა ბობოკარ ოკეანეში მრავალი დღის გმირული დრეიფის მშვიდობით დამთავრება.

სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდებს მიაჩთვეს ცოცხალი ყვავილების თაიგულები, გადასცეს მრავალი დეპეშა საბჭოთა ადამიანებისაგან.

ჩამოსულნი და შეხვედრნი შედიან აეროპორტის შენობაში.

აქ პრესის სპეციალურ ოთახში საბჭოთა ჭაბუკებს კვლავ გარს ეხვევიან ამერიკის სატელევიზიო კომპანიების, გაზეთების, დეპეშათა სააგენტოების კორესპონდენტები. მეგობრული ყურადღების ატმოსფეროში კორესპონდენტები სტატ-ყვაობენ აყრიან კითხვებს. უპასუხებს რა ძალა, ივანე ფედოტოვი ამბობს: „უკანასკნელ წუთამდე ჩვენ არ დაგვიკარგავს გადარჩენის იმედი. გულითად მადლობას მოვახსენებთ ამერიკის ავიამზიდის „კირსარჯის“ ეკიპაჟის წევრებს აღმოჩენილი დახმარებისათვის. მოუთმენლად ველით სამშობლოში დაბრუნებას“.

კორესპონდენტები იწერენ თავიანთ ბლოკნოტებში. საუბარი დამთავრებულია. ჩამოსულნი გაემართნენ მანქანებისაკენ. გმირ ოთხეულს გულთბილად მიესალმებიან აეროპორტის შენობაში მყოფი ამერიკელები. ფოტორეპორტიორები კვლავ და კვლავ სთხოვენ გმირული დრეიფის მონაწილეებს მიაკონ სურათის გადაღების საშუალება. ზიგანშინი, ფედოტოვი, პოპლავსკი და კრიუჩკოვსკი და მათი შემხვედრნი მიდიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის აგარაკზე გლენკოვში.

ამერიკის მეცნიერული სამყაროს წარმომადგენელნი კვლავ მაღალ შეფასებას აძლევენ ახალგაზრდა საბჭოთა მეომრების უმაგალითო დრეიფს წყნარ ოკეანეში. ცნობილმა ოკეანოგრაფმა დოქტორმა უორენ ვუსტერმა, რომელსაც ამჟამად კავშირი აქვს ლა-ჰოლის კალიფორნიის უნივერსიტეტთან არსებულ სკრიპსის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტთან, საკდესის კორესპონდენტისადმი განცხადებაში აღტაცება გამოთქვა საბჭოთა გმირების სიმამაცის გამო.

საოცარია, — თქვა მან, რომ საბჭოთა გმირებმა „გაუძლეს ყველა სიძნელეს. მათი გმირობა ადამიანის ამტანობის საუკეთესო გამოვლინებაა“.

ამერიკელი მეცნიერები საბჭოთა მეოთხრეების გმირული დრეიფის შესახებ

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტებმა სთხოვეს მთელ რიგ თვალსაჩინო ამერიკელ მეცნიერებს გამოეთქვათ აზრი ოთხი საბჭოთა მეომრის გმირული დრეიფის გამო. ყველა მეცნიერმა, რომლებთანაც საკდესის კორესპონდენტებმა ისაუბრეს, განაცხადა, რომ აღტაცებულნი არიან ა. ზიგანშინის, ფ. პოპლავსკის, ა. კრიუჩკოვსკის, ი. ფედოტოვის მამაცობითა და გამძლეობით.

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა-გეოგრაფმა პროფესორმა ჯორჯ კრესმ რომელსაც საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის პრეზიდენტის პოსტი ეკავა, ხოლო ამჟამად მუშაობს სირაკუზის უნივერსიტეტში, საკდესის კორესპონდენტს ტელეფონით განუცხადა: „ჩვენ ყველანი აღტაცებული ვართ საბჭოთა ადამიანების მამაცობით და სიმხნევით, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა შეენარჩუნებინათ სიცოცხლე“. ამერიკის ავიამზიდის ეკიპაჟის მიერ ოთხი მეომრის გადარჩენა, თქვა პროფესორმა კრესმ, ამერიკელი და საბჭოთა ხალხების თანამშრომლობის კიდევ ერთი ბრწყინვალე მაგალითია. მა-გალითისათვის მოიყვანა რა ის გულთბილი ურთიერთობა, რომელიც ამერიკელ და საბჭოთა სპორტსმენებს შორის დამყარდა ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზობაზე სკვო ველზე, კრესმ განაგრძო: „ავიამზიდ „კირსარჯის“ ეკიპაჟის მოქმედება ხელს უწყობს ორი ხალხის ურთიერთობის განმტკიცებას“.

ცნობილმა პოლარელმა მკვლევარმა ვილიამურ სტეფანსონმა, ამერიკელი გეოგრაფების ასოციაციის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა განაცხადა, რომ ოთხი მეომრის კარჭაპის დრეიფი გმირულ მნიშვნელობასთან ერთად დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს. სტეფანსონმა, რომელიც საკდესის კორესპონდენტს ტელეფონით ესაუბრებოდა თავისი კაბინეტიდან (ჰანოვერის დარტმუტის კოლეჯი ნიუ-ჰემპშირის შტატი) განაცხადა, რომ კარჭაპის დრეიფი გვიჩვენებს, თუ ძველ დროში ქარი როგორ გაიტაცებდა ხოლმე აზიის ნაპირებიდან ტივებს, რომლებზეც პირველყოფილი ადამიანები იყენენ ხოლმე, და მოჰქონდათ ამერიკის კონტინენტის დასავლეთის ნაპირებამდე.

ამრიგად, განაცხადა მან, მათ ახალი კულტურა მოიტანეს და ახალი სისხლი შემატეს ამერიკას კოლუმბამდე ათასი წლების წინათ.

სტეფანსონმა განაცხადა, რომ ოთხმა საბჭოთა სამხედრო მოსამსახურემ გამოიჩინა დიდი მამაცობა და მოსაზრებულობა, რაც დამახასიათებელია საბჭოთა არქტიკული და ანტარქტიკული მკვლევრებისათვის.

თვალსაჩინო ოკეანოგრაფმა მორის იუინგმა, რომელიც ხელმძღვანელობს კოლუმბიის უნივერსიტეტის „ლამონტის გეოლოგიურ ლაბორატორიას“, საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამერიკელს უხარია, რომ ოთხი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე გადაარჩინეს. ჩვენ, ადამიანები, რომლებიც ვსწავლობთ ზღვასა და ვიცით მისი ძლავრი ძალა, აღტაცებული ვართ მოსაზრებულობითა და თვითდისციპლინით, რაც ამ ოთხმა კაცმა გამოიჩინა, რომლებმაც გაიმარჯვეს ბრძოლაში ასეთ ძნელ პირობებში“.

ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ანთროპოლოგმა და ისტორიკოსმა დოქტორმა უ. დიუბუამ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „ჩვენ, უფროსი თაობის ადამიანები, რომლებმაც უკვე განვლეთ ჩვენი ცხოვრება, მას კვლავ ეძიენთ ჭაბუკთა გამბედაობასა და მამაცობაში. ამიტომ სულითა და გულით მივესალმები ოთხ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეს, რომლებმაც გაბედულად გადალახეს ყველა სიძნელე, რაც მათ ოკეანემ განუმზადა“.

ტუჯები

გ. ხუტუაშვილს ბეჯითი შრომით ბევრჯერ უსახელებია არა მარტო ბრიგადა, არამედ მთელი კოლმეურნეობა. მისი ტრაქტორი უთენია დილადან გვიან ღამემდე განუწყვეტლივ გუგუნებს, ფშაველის მეთვრამეტე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე ვაზის რიგთა შორის ნიადაგს აფხვიერებს, სარეველებს ძირიანად სპობს. მის დამუშავებულ ვენახებში ყოველთვის დიდი მოსავალი მოდის.

იმ დღეს ზვარში ხობობი რომ წამოუფრინდა, გიორგისათვის კარგი მახარობელი იყო. გულში იფიქრა, რაღაც გამეხარდებაო, და აუხდა კიდეც. ტრაქტორში საწვავს რომ ასხამდა, ბიჭები მოცვივდნენ, ყურებში ეცნენ, გადაკოცნეს და ქალვაუის მამას მიულოცეს კიდევ ვაჟიანობა... სამის ერთად.

გაიხარა ვაუკაცმა. შინ მიირბინა, ტრაქტორის საცხით დასვრილი ტანსაცმელი გამოიცვალა და თელავის სამშობიაროში სახლისაკენ გაეშურა. სამნი არიან — მაშ ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ — „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელები უნდა დავარქვა — ფიქრობდა გზად მიმავალი მამა.

თელავის სამხრეთ-აღმოსავლეთით „გიგოს გორაზე“ სამშობიარო სახლია. გიორგი მთავარ შესასვლელ კართან მივიდა და ფრთხილად დააკაკუნა. მან თავისი მეუღლის თამარ ხუტუაშვილის ჯანმრთელობა იკითხა. „ვაუკაცებიც“ არ დავიწყებია.

— თამარი შესანიშნავად გრძნობს თავს. ბიჭებიც კარგად არიან. „ნათლიობა“ სამმა ექმნა ითავა. დაგიზარდოს, — უთხრა მთავარმა ექიმმა.

ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი გაიზრდებიან, დავაუკაცდებიან, სამშობლოს გაახარებენ.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: თამარ ხუტუაშვილი თავისი ბავშვებით.
ფოტო ი. ტორისა.

ასე იკვლევენ კონიაკის ხარისხს

ხავერდოვნებამ, ყვავილოვანმა სურნელებამ და სიფაქიზემ ქართულ კონიაკს მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს.

თუ კარგად დაუკვირდებით კონიაკს, მის ზედა ფენაში დავინახავთ დიდძალ ზეთოვან წვეთებს. დღემდე კონიაკის სპირტში ეს ნაწილი შესწავლილი არ ყოფილა. ორი წლის საკვლევი მუშაობის შედეგად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ასპირანტმა ლილი გოგიჩაიშვილმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ა. ლაშხის ხელმძღვანელობით შეძლო გამოეყო ეს ზეთოვანი წვეთები, შეესწავლა მათი ქიმიური შედგენილობა და განესაზღვრა მისი გემოვანი როლი კონიაკისათვის. დადასტურდა, რომ ეს წვეთები შეიცავენ ეთილის ეთერის კაპრილის, კაპრინისა და ლაურინის მჟავებს.

ერთ ლიტრ ნატურალურ კონიაკში არის 50-70 მილიგრამი ეგრეთწოდებული ენანთის ეთერი. იგი წარმოიშობა ღვინის საფუარით ტკბილის დუღილისას და ღვინის გამოხდის დროს კონიაკის სპირტში გადადის. მიუხედავად მცირე რაოდენობისა, სწორედ იგი აძლევს კონიაკს ხავერდოვნებას, ყვავილოვან სურნელებას, სიფაქიზეს და ამით მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის გემოვან თვისებებს.

ამ ეთერის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას კონიაკის ხარისხი, გამოვლინდეს ფალსიფიცირებული კონიაკი, რომელიც არ შეიცავს ამ კომპონენტს. ენანთის ეთერის გამოკვლევა, როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, ფართო გამოყენებას პოვებს კონიაკის წარმოებაში. (საქ. ინფ.).

ბათუმი. ქალაქის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.
(საქ. ინფ. ფოტოქრონიკა).

ეს სოფელს ხმარდება

საკოლმეურნეო სოფელში დღითიდღე მაღლდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და ფართოვდება საცალო ქსელი. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 5 ათასამდე საცალო ობიექტი და 1.209 საზოგადოებრივი კვების დაწესებულება. აქედან მარტო გასულ წელს სოფლად გაიხსნა 10 უნივერმაღი, 50 სასოფლო და 30 თვითმომსახურების მაღაზია, 72 უგემყიდველო ფარდული, 81 მაღაზიაში მოეწყო საქონლის ნიმუშების ღია გამოფენითი ვაჭრობა, ბევრგან გაიხსნა საგაძომჭრელო განყოფილებები, საზოგადოებრივი კვების 42 ახალი საწარმო და სხვ.

სამმილიარდნახევარზე მეტი მანეთის მრავალფეროვანი ასორტიმენტის სამრეწველო საქონელი — ბამბის, შალის, აბრეშუმის ქსოვილები, შეკერილი ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, ბროლის, ფაიანსის, ფაიფურის ჭურჭელი, ავეჯი და სხვ. შეისყიდა შარშან სოფლის მოსახლეობამ.

ბაკურ წელს კოლმეურნეებმა ცეკავშირის მეშვეობით 92 მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ და 217 „მოსკვიჩი“ შეიძინეს. სოფლად გაიყიდა აგრეთვე მოტოციკლეტები, მსუბუქი ავტომანქანების საბურავები. საკოლმეურნეო სოფელს წელს მეტი რაოდენობით გაეგზავნება მსუბუქი ავტომანქანები.

შარშან 1.168 სტანდარტული სახლი და მისი კომპლექტები შეიძინა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობამ. წელს გაიყიდება 1.860 სტანდარტული სახლი.

ზითელწყაროში. (საკ. კორ.). სოფელ გამარჯვების ქადანოვის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებანი წლითიწლობით მრავლდება. სამინდი და ხორბალი ბევრი მოჰყავთ, მეცხოველეობის პროდუქტიულობა 1953 წელთან შედარებით ოთხჯერ გაადიდეს. შარშან ფულადმა შემოსავალმა 3.790 ათას მანეთს გადააჭარბა.

□ სამ მილიარდნახევარი... □ ავტომანქანები, სტანდარტული სახლები. □ პენსიები მოხუც კოლმეურნეებს.

მარჯვე გასროლა

ლენინგორის რაიონის სოფელ ზაყორის კოლმეურნეები ი. სოტაევი, გ. მარგიევი და ი. ჩერტკოევი წავიდნენ სანადიროდ დათვზე. მათ მაღალ კლდეზე მიაგნეს დათვის ბუნაგს, მაგრამ მისვლა შეიძლებოდა მხოლოდ ვიწრო ბილიკით, იარაღის ხმარება იქ შეუძლებელი იყო.

გიორგი მარგიევი და ისმელ ჩერტკოევი ბუნაგისაკენ წავიდნენ, იაშა სოტაევი კი კლდის ძირში დარჩა და დათვის გამოსვლას ელოდება.

როგორც კი მიუახლოვდნენ მონადირეები ბუნაგს, იქიდან დათვი გამოხტა. მონადირეები დაიბნენ, უიარაღნი იყვნენ და დიდ საფრთხეში ჩავარდნენ. დათვი კი უახლოვდებოდათ, შეიძლებოდა კლდიდან გადაეჭიხა ისინი. ამ დროს გაისმა იაშას თოფის ხმა და დათვი კლდიდან გადავარდა. გიორგი და ისმელი ერთგული ამხანაგის მარჯვე ნასროლმა გადაარჩინა. მაგრამ ბუნაგიდან გამოვიდა კიდევ ორი დათვი. ამჯერად გიორგიმ ხანჯალი მოიმარჯვა და ერთ დათვს ჩაარტყა. დაჭრილი დათვი გაიქცა, მაგრამ იაშამ თოფი მიაყოლა. მესამე დათვიც თოფით მოკლეს.

მონადირეებმა სოფელში ჩამოიტანეს სამი დათვი. კოლმეურნეობის გამგეობამ მონადირეებს მადლობა გამოუცხადა.

ა. მარგიევი.

ახალი ამბები, ციფრები, ფაქტები

პირველობა თავისუფალ ჰიდაოგაში

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გრძელდება უძლიერესთა ასპარეზობა — სსრ კავშირის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჰიდაობაში.

მსუბუქ წონაში სპარტაკელმა გვიმრაძემ, რომელსაც ძლიერ მეტოქესთან ჰქონდა საქმე, შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება და 2 წუთში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭიდავემ სინიავსკემ ასევე სძლია კოჩიევს. სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენის ჯინჭარაძისა და გუსოვის ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა. სალიმულინი („დინამო“) ქულებით დამარცხდა კოლესნიკოვთან („ბურევესტნიკი“).

მძიმე წონაში პირველობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ძარასოვი შეხვდა შაგინიანს („სპარტაკი“). ეს იყო ამ დღის საინტერესო ასპარეზობა. მსაჯთა კოლეგიამ ორთაბრძოლა ფრედ შეაფასა. ასეთივე შედეგით დამთავრდა დინამოელ კანდელაკისა და ივანიცკის შეხვედრა.

წარმატებით იბრძოდა „კოლმეურნის“ სპორტსმენი ხოხაშვილი (მჩატე წონა). გუშინ მან წმინდა გამარჯვება მოიპოვა ჩოხელთან („შრომითი რეზერვები“) შეხვედრაში. სსრ კავშირის ჩემპიონმა არსენიანმა (თბილისი), რომელმაც პირველ წრეში წააგო მატჩი, გუშინ 6 წუთსა და 40 წამში წაიქცია დინამოელი დალინინი. ორი გამოცდილი მოჭიდავის მჭედლიშვილისა და ზამიატინის ბრძოლაში ფიქსირებულ იქნა ფრე, თვითეულმა მათგანმა 2 საჯარიმო ქულა მიიღო. შეყრილაძემ ქულებით დამარცხა ავეტიანი.

საშუალო წონაში სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი სხირტლაძე შეხვდა სპარტაკელ პინსკის და შეჯიბრება ფრედ დამთავრდა. გობეჯიშვილმა წმინდა გამარჯვება პოვა ცხოვრებოვთან („დინამო“).

ბაკურიანის მიდამოებში

ბაკურიანი, 18 მარტი. (სპეც. კ...). გუშინ გაიმართა სამთო სათხილამურო აპარტში ჩვენი ქვეყნის გუნდური ველობის გათამაშების უკანასკნელი ვედრები სწრაფდაშვებაში ქალთა ... ვაჟთათვის.

დისტანცია ვაჟებისათვის შეადგ... 1.450 მეტრს, ქალებისათვის — 1... მეტრს. ყველაზე უკეთესი შედეგი (2... თი და 4,6 წამი) აჩვენა არმიელმა ... ხილამურემ ვ. ტალიანოვმა. ქალთა ... რის უძლიერესი იყო ს. კორზუ... (ცსკ მო, 1 წუთი და 37,8 წამი). სა... ში (სლალომ-გიგანტი, სპეციალური ... ლომი და სწრაფდაშვება) ნაკლები ... რომო ქულით პირველ ადგილზე გა... და ვ. ტალიანოვი, ქალთა შორის — ... კორზუხინა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგ... დაიკავა „ტრუდის“ მოთხილამურეთა ... ლეტიმა.

დღეს დაიწყო პირადი პირველ... გათამაშება. სწრაფდაშვებაში სსრ ... შირის ჩემპიონი ქალთა შორის გასდ... კორზუხინა, ვაჟთა შორის — დ. კა... შოვი („სპარტაკი“).

ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

ამოცანა № 10
ი. შოსტი (ცხაკაია)



a b c d e f g h

შამათი სამ სვლაში

თეთრები: მფb8, ლg3, ეb7, კh8, ... d2, კ3:b6, d6, h5, (სულ 9);
შავები: მფ/5, ეa5, ეc5, კ3:a6, d7, d3, e4, (სულ 8).

გ. კ. ქვანია — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არ... ბული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტ... ტის საქართველოს ფილიალის უფროს... მეცნიერმა მუშაკმა, დოცენტმა გ. კ. ქ... ნამ თბილისის ი. ბ. სტალინის სა... ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ტორიული, ეკონომიური და იურიდი... ული ფაკულტეტების გაერთიანებული ... მეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ისტ... რიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარ... ხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაც... თემაზე: „ამერიკაკაესის ბოლშევიკუ... პრესა რუსეთის პირველ რევოლუციის... დე და რევოლუციის პერიოდში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუ... ლო სპეციალური განათლების სამინ... ტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატ... სტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. კ. ქ... ნიასათვის ისტორიულ მეცნიერებ... დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

„საგლეხაოგაკეთ“

ამერიკის გეგმები ეჭვს იწვევენ

ვაშინგტონი, 17 მარტი. საკდესის კორესპონდენტი გ. შიშკინი იუწყება: სენატის საგარეო საქმეთა კომისია იხილავდა მოხსენებას „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა აფრიკაში“, რომელიც კომისიის შეკვეთით გასული წლის შემოდგომაზე მოამზადა ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტმა.

მოხსენების ავტორმა უნივერსიტეტის აფრიკის ჯგუფის დირექტორმა მ. გერსკოვიჩმა, რომელმაც განმარტება მისცა კომისიის წევრებს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი განვითარების პირობებში შეერთებული შტატები უნდა ახორციელებდნენ მოქნილ პოლიტიკას. როგორც მან თქვა, ხალხებს, რომლებიც თავისუფლდებიან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან, რომ კოლონიური ბატონობის ძველი სისტემის ნაცვლად დამყარდეს ახალი სისტემა. ამასთან დაკავშირებით მან სენატის კომისიის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ აფრიკის ქვეყნებისათვის ეგრეთწოდებული დახმარების გაწევის გეგმები, რომლებაც შეერთებული შტატების ინიციატივით ადგენენ დასავლეთის სახელმწიფოები, ამ ქვეყნების ეჭვსა და შიშს იწვევენ.

„წინადადებანი ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ, — განაცხადა მან, ფართოდ გაკრიტიკეს იმის გამო, რომ დახმარება, რომელსაც ქვეყნების ეს ჯგუფი უწევს მათ, წარმოადგენს იმპერიალიზმის ახალ ფორმას“. გერსკოვიჩმა აგრეთვე აღნიშნა, რომ, აფრიკის ახალი სახელმწიფოების აზრით, „ევროპისა და აფრიკის ეკონომიური გაერთიანების გეგმებს, რომლებიც ცნობილია „ევრაფრიკის“ სახელწოდებით, მორე მსოფლიო ომის დამთავრების დროიდან ადგენდა დასავლეთი გერმანია, რათა შეექმნა პირობები ეკონომიური ექსპანსიისათვის“.

აფრიკაში ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიური გეგმების კოორდინაციისათვის დილონის ინიციატივით შექმნილი ჯგუფი, თქვა გერსკოვიჩმა, აფრიკის სახელმწიფოების ეჭვს იწვევს, რადგან „ჯგუფში შედის ყველა კოლონიური სახელმწიფო“. ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა ამ ჯგუფში, ხაზგასმით აღნიშნა მან, ცხადყოფს, რომ „შეერთებულ შტატებს წილი უდევთ იმ ქვეყნებზე ახალი ფორმის ბატონობაში, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა“.

აფრიკაში შეერთებული შტატების ახლანდელი პოლიტიკის კრიტიკამ და დაწუნებამ, რაც გამოსჩენოდა მოხსენების ავტორის გამოსვლაში, ამერიკელი სენატორების აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. თავიანთ ვრცელ შეკითხვებში მომხსენებლისადმი ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ შეერთებულ შტატებს თითქოს საერთო არა აქვთ რა კოლონიალიზმთან, და ამავე დროს ჩრდილო მიუუნებინათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკისათვის. უპასუხა რა სენატორებს, გერსკოვიჩი, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კოლონიურ საკითხში „უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აფრიკის ხალხებზე“ და რომ „ბევრი აფრიკელი სახელმწიფო მოღვაწე ეუბნებოდა მას, რომ ისწრაფვის მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს თავისი ქვეყნის განვითარებაში“.



ნერუს სიტყვა პარლამენტში

დელი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატაში დამთავრდა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიჯეტის განხილვა, რამაც ორ დღეს გასტანა. კამათის დასასრულს მოკლე სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ.

ნერუ შეეხო საერთაშორისო ვითარებას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად მშვიდობის დამყარების პერსპექტივები ბევრად უკეთესია წარსულთან შედარებით. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს თათბირს უმაღლეს დონეზე და გამოთქვა იმედი, რომ თათბირის შედეგები დადებითს გავლენას მოახდენენ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაზე, როგორიც არის განიარაღება და ატომური იარაღის წარმოებისა და გამოცდის აკრძალვა.

ნერუმ აღნიშნა, რომ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მომრაობა მშვიდობისათვის, და ამავე დროს ჩრდილო მიუუნებინათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკისათვის. უპასუხა რა სენატორებს, გერსკოვიჩი, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კოლონიურ საკითხში „უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა აფრიკის ხალხებზე“ და რომ „ბევრი აფრიკელი სახელმწიფო მოღვაწე ეუბნებოდა მას, რომ ისწრაფვის მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს თავისი ქვეყნის განვითარებაში“.

მ. ტორეზის წიგნი — „ხალხის შვილი“

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). გამომცემლობამ „ედისიონ სოსიალმა“ მოამზადა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მორის ტორეზის წიგნის „ხალხის შვილის“ ახალი გამოცემა. პირველი ორი გამოცემისაგან განსხვავებით წიგნშია ოთხი ახალი თავი, რომლებიც მოიცავენ პერიოდს 1947 წლიდან 1960 წლამდე. წიგნი გასაყიდად გამოვა აქ 26 მარტს მარქსისტული წიგნის ყოველწლიური გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

ყოველკვირეული „ფრანს ნუველი“ აქვეყნებს წიგნის „ხალხის შვილის“ ნაწყვეტებს, რომლებშიც მორის ტორეზი აღწერს შარშან ზაფხულს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს მიღებულ თავის შთაბეჭდილებას. „1959 წლის ზაფხული საბჭოთა კავშირში გავატარე, — წერს იგი, — და ვნახე უდიდესი პროგრესი, რასაც წლითიწლობით აღწევენ სოციალიზმის ქვეყანაში“.

მორის ტორეზი აღნიშნავს საბინაო მშენებლობის ფართო გაქანებას საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, მოსკოვში. „მოსკოვი, — ნათქვამია წიგნში, — უდიდესი მშენებლობაა“.

წიგნში ხაზგასმით აღნიშნულია საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ იმ წინადადებათა უდიდესი მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე. „ამხანაგ ხრუშჩოვის კონკრეტული წინადადებები საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, — აღნიშნავს საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, — რომლებიც წამოყენებულია იმ მომენტში, როცა რამდენიმე საათის ომი საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ დედამიწის მთელი რაიონები გიგანტურ ხიროსიმად გადაექცია, შეესაბამება მასების მისწრაფებას და მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა მღელვარე იმედს“.

მორის ტორეზი წერს, რომ საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო მიღწევები სხვადასხვა დარგში იწვევს საფრანგეთის მუშათა კლასის დიდ ენთუზიაზმს და ადასტურებს მის იმედს, რომ გაიმარჯვებს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმე.

განიარაღების კომიტეტის სხდომაზე

ჟენევა, 17 მარტი. (საკდესი). დღეს განაახლა ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი დახურული სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კანადის დელეგატი.

კომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია 18 მარტს.

ეიზენჰაუერის წერილი

ვაშინგტონი, 18 მარტი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გუშინ კონგრესს წერილი გაუგზავნა ექსპორტის პრობლემების შესახებ. წერილში აღიარებული, რომ ამ უკანასკნელ ხანს შეერთებული შტატები მზარდ კონკურენციას წაწყდნენ საგარეო ბაზრებზე. „ამ პირობებში, — ხაზგასმულია წერილში,— მთავრობამ და მეწარმეებმა უფრო ენერგიული ღონისძიებანი უნდა განახორციელონ შეერთებული შტატების კონკურენციის უნარიანობის გასაძლიერებლად“.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკული ექსპორტის განვითარებას დიდად აფერხებს შეზღუდვები დოლარული იმპორტის წინააღმდეგ, რომლებიც მთელმა რიგმა ქვეყნებმა შემოიღეს.

თავისი წერილის დასასრულს პრეზიდენტი მოუწოდებს კონგრესს მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომლებსაც მთავრობა განახორციელებს ამერიკული ექსპორტის წასახალისებლად.

ამერიკელი დიპლომატების ცეცხლთან თამაში

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკდესი). ოთხი დღის წინათ ფილიპინების საკურორტო ქალაქ ბაგიოში ყოველწლიურ თათბირზე შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის დიპლომატიური წარმომადგენლნი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. 14 ამერიკელი ელჩი, დესპანი და გენერალური კონსული, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალისტები, აგრეთვე ამერიკელი სამხედრო ხელმძღვანელნი აზიაში, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ფელტი, დაბურულ დარბაზში, რომელსაც გუშაგობდა ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარი, იხილავდნენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის წარმატებებსა და მარცხს აზიაში, ადგენდნენ მომავლის პროგნოზებს.

ამერიკის საადგენტოების ცნობით, დისკუსია წარმოებდა უმთავრესად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი დამოკიდებულების საკითხზე. უგულებელყოფდნენ რა ამერიკის პოლიტიკის სკანდალურ ჩაფუშვას ჩინეთის საკითხში და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საერთო ტენდენციას, ამერიკელი დიპლომატები და სამხედრო ლიდერები კვლავ დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ საჭიროა გაგრძელდეს ეს გაკოტრებული პოლიტიკა, იალუქრებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის კანონიერ უფლებათა აღდგენის წინააღმდეგ.

თათბირის გახსნაზე ამერიკელ დიპლომატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფილიპინების საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელიქსბერტო სერანომ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საადგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სერანომ მოუწოდა გადასინჯონ ამერიკის საგარეო პოლიტიკა აზიაში. შეეხო რა აზიის ქვეყნებისათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს — ეკონომიური დახმარების საკითხს, მან აღნიშნა, რომ ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატები უგულებელყოფენ ფილიპინებსა და სხვა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს და ამავე დროს უდიდეს თანხებს აძლევენ იაპონიას მისი სამრეწველო და სამხედრო პოტენციალის განმტკიცებისათვის.

ქართველი მოცეკვავეები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 17 მარტი. (საკდესი). დღეს აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ანსამბლი 70 კაცის შემადგენლობით. მისი ჩამოსვლა შეერთებულ შტატებში მოეწყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის კულტურული გაცვლის შესახებ შეთანხმების შესაბამისად. ქართველი მსახიობები ამერიკის კონტინენტზე დარჩებიან დაახლოებით 2 თვეს და ამ ხანში გამოვლენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის 21 ქალაქში.

ანსამბლის პირველი კონცერტი გაიმართება 20 მარტს „მეტროპოლიტენ ოპერას“ თეატრის შენობაში.

სტუმარი თუ მკვლელი?

ანკარა, 17 მარტი. (საკდესი). აქ ამერიკის სასამართლოში დამთავრდა ამერიკელი პოდპოლკოვნიკის მორისონის პროცესი. მორისონი, რომელიც ეკუთვნის ნატოს ჯარების პერსონალს თურქეთში, 1959 წლის 5 ნოემბერს ავტომობილით შეიჭრა თურქ ჯარისკაცთა ჯგუფში, რომელთაგან ერთი მოკვდა, ხოლო 10 კაცი მძიმედ დაშავდა. ამერიკელი ოფიცერი მთვრალი იჯდა საჭესთან.

თურქეთის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ამერიკელი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა თურქეთის მიწა-წყალზე, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, გაასამართლა არა თურქეთის, არამედ ამერიკის სასამართლომ. აღშფოთება გამოიწვია აგრეთვე სასამართლოს განაჩენმა. მორისონს „ბრალდდა“ დადეს მხოლოდ ის, რომ მან „უყურადღებობა“ გამოიჩინა კატასტროფის მომენტში. შედეგად ამერიკელს მიუსაჯეს ფულადი ჯარიმა.

ამ პროცესთან დაკავშირებით გაზეთი „ენი გიუნი“ წერს, რომ ნატოს პერსონალის ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა 1953 წლიდან თურქეთში ჩაიდინეს 398 დანაშაული. მათ შორის არის მკვლელობა, დაჭრა, დებიში.

19 მარტი

თბილისის თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო (მე-7 აბონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, **მარჯანიშვილის სახელობის** — ორი ფერი, **გრიბოედოვის სახელობის** — ჭიქა წყალი, **მუსიკალური კომედიის** — ჭირვეული ქმრის მორჯულება (რკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — დაკარგული ბედნიერება, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონ. № 29, 4 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ამირანი, ისანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ნორმანდია-ნემანი, **თბილისი, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი** — მეზღვაური ნაპირზე გადმოდის.

* * *

ტელევიზია

18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ № 6, 19.10 — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა სსრკ სახალხო არტისტ ვასო გოძიაშვილთან (ტრანსლაცია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატიდან), 21.10 — გადაცემა ციკლიდან „შვიდწლედის მოწინავე ადამიანები“, 21.20 — კინოჟურნალი, 21.30 — უკანასკნელი ცნობები, 21.40 — მხატვრული ფილმი „უკანასკნელი დაბრუნება“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის პრობლემათა სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია

აცხადებს კონკურსს სწავლული მდივნის — (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი) თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება და სათანადო საბუთები უნდა წარმოადგინონ ჰიდროგეოლოგიურ პრობლემათა ლაბორატორიის დირექციაში: ქ. თბილისი, სამხედრო გზა № 23.

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:
1. ინგლისური ენის კათედრის გამგე.
2. ფრანგული ენის კათედრის გამგე.
3. ქართული ენის კათედრის გამგე (პროფესორი ან დოცენტი).

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე სათანადო საბუთების დართვით ორ-ორ ეგზემპლარად.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველო ბისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.